თუ არა სკოლაში, სხვაგან სად?

ისწავლეთ
დემოკრატია
და იცხოვრეთ
დემოკრატიულად
„eTwinning“-ის
საშუალებით

Erasmus+

eTwinning

გამომცემელი: „eTwinning“-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური (CSS)
www.etwinning.net

„European Schoolnet“
(EUN Partnership AISBL)
ტრევის ქუჩა, 61
1040 ბრიუსელი - ბელგია
www.europeanschoolnet.org - info@eun.org

ლიტერატურის ჩამონათვალში წინამდებარე პუბლიკაცია მიუთითეთ შემდეგნაირად: ა. ლიხი; ი. პატერაკი; ს. შიმეკა. (2019 წ.). თუ არა სკოლაში, სხვაგან სად? ისწავლეთ დემოკრატია და იცხოვრეთ დემოკრატიულად „eTwinning“-ის საშუალებით. „eTwinning“-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური - ევროპულ სკოლათა ქსელი „European Schoolnet“, ბრიუსელი.

რედაქტორები: ალექსანდრა ჰანა ლიხი, ირენ პატერაკი, სანტი შიმეკა

დიზაინზე პასუხისმგებელი პირი: ჯესიკა მასინი

ტექსტის რედაქტირებაზე პასუხისმგებელი პირი: დანოშ ნასროლაჰი

თავდაპირველი დიზაინი: „Iddi fix“, ლუქსემბურგი

მთარგმნელი: მაია გვიტიძე

მომზადება და ბეჭდვა: „HOFI Studio“, ჩეხეთის რესპუბლიკა

ტირაჟი: 200

ISBN კოდი (ბეჭდური ვერსია): 978-92-9484-134-6

ISBN კოდი (პორტატული დოკუმენტის ფორმატი (PDF)): 978-92-9484-135-3

სარეგისტრაციო კოდი (DOI) (ბეჭდური ვერსია): 10.2797/65562

სარეგისტრაციო კოდი (DOI) (პორტატული დოკუმენტის ფორმატი (PDF)): 10.2797/631167

ლუქსემბურგი: ევროკავშირის გამომცემლობა, 2019 წ.

© ევროკავშირი, 2019 წ.

გამოქვეყნდა 2019 წლის ოქტომბერში.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლებელია, არ ასახავდეს ევროპულ სკოლათა ქსელის „European Schoolnet“ ან „eTwinning“-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახურის შეხედულებას. ეს წიგნი ქვეყნდება საერთაშორისო კრეატიული საავტორო უფლებების 4.0 ლიცენზიის პირობებისა და წესების შესაბამისად (CC BY 4.0) (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/). მოცემული პუბლიკაცია გამოიცა ევროკავშირის „Erasmus+“ პროგრამის მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მის ავტორებს და ევროპის კომისიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა მასში მოცემული ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გამოყენების გამო.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 6

1. სკოლა - დემოკრატიის ლაბორატორია 11

2. დემოკრატიული მონაწილეობა სკოლაში 14

2.1 მასწავლებელთა როლი დემოკრატიული კომპეტენციის განვითარებაში 14

2.2 "eTwinning"-ის გამორჩეული პროექტები 18

2.3 „eTwinning"-ის ფარგლებში რეკომენდებული აქტივობები 23

3. კრიტიკულად მოაზროვნე პირები უსაფრთხო სკოლაში 27

3.1 მედიაწიგნიერება: კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავება სტერეოტიპებისა და ცრურწმენების მიმართ 27

3.2 „eTwinning"-ის გამორჩეული პროექტები 30

3.3 „eTwinning"-ის ფარგლებში რეკომენდებული აქტივობები 34

4. ახალგაზრდა ლიდერები, მოაზროვნეები, ცვლილებათა შემოქმედები 38

4.1 ახალგაზრდების აღჭურვა საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობით 38

4.2 „eTwinning"-ის გამორჩეული პროექტები 43

4.3 „eTwinning"-ის ფარგლებში რეკომენდებული აქტივობები 50

დასკვნა 54

გამოყენებული ლიტერატურა 56

“eTwinning“-ი ცოცხალი საზოგადოებაა, რომლის არსებობის 14 წლის განმავლობაშიც მასში მონაწილეობა მიიღო 700 000-ზე მეტმა მასწავლებელმა 195 000* სკოლიდან. განხორციელდა 93 000* - ზე მეტი პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა საგანმანათლებლო დონის მოსწავლეებმა, კონტინენტის მასშტაბით (*მონაცემი მოწოდებულია 2019 წლის სექტემბრის მდგომარეობით)

„eTwinning“-ი – ევროპასა და მეზობელ პარტნიორ ქვეყნებში არსებული სკოლების საზოგადოება - წარმოადგენს სკოლებისათვის განკუთვნილ და, „Erasmus+“ პროგრამის ფარგლებში, ევროპის კომისიის მიერ დაფინანსებულ ქსელს. მასში მონაწილეობენ მასწავლებლები ევროპის 36 ქვეყნიდან და 8 მეზობელი ქვეყნიდან.

„eTwinning“-ი წარმოადგენს ციფრულ პლატფორმას და იგი ხელმისაწვდომია 31 ენაზე. პირებისათვის, რომლებიც სტუმრობენ პლატფორმას, ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ჩაერთონ „eTwinning“-ში; რა სარგებელს სთავაზობს მათ „eTwinning“-ში ჩართვა და როგორ ხორციელდება თანამშრომლობითი პროექტები „eTwinning“-ის ფარგლებში. „eTwinning”-ზე დარეგისტრირებულ მასწავლებლებს აქვთ წვდომა სპეციალურ სივრცეზე, რომელსაც „eTwinning Live“-ი ეწოდება და რომლის საშუალებითაც ინდივიდუალურ მასწავლებელს შეუძლია, კავშირი დაამყაროს „eTwinning”-ის საზოგადოებასთან: იგი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მოიძიონ პარტნიორები, დაამყარონ კავშირები, ითანამშრომლონ პროექტებში და მონაწილეობა მიიღონ ცალკეული, ევროპული და არაევროპული, ქვეყნების დონეზე ან საერთო ევროპულ დონეზე ორგანიზებულ ღონისძიებებში, რომლებიც პროფესიულ განვითარებას ემსახურება. საბოლოოდ, პროექტზე ერთობლივი მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს აქვთ წვდომა კონკრეტულ საკოორდინაციო სივრცეზე, რომელსაც „TwinSpace“-ი ეწოდება და რომელიც უნიკალურია თითოეული პროექტისთვის.

„eTwinning“-ი საკუთარ მომხმარებლებს მაღალი დონის მხარდაჭერას სთავაზობს. თითოეულ მონაწილე ქვეყანაში (რომელთა რაოდენობაც ამჟამად 44-ს შეადგენს) ფუნქციონირებს ეროვნული მხარდაჭერის სამსახური (NSS) და პარტნიორთა მხარდამჭერი სააგენტო (PSA), რომლებიც უზრუნველყოფს მხარდაჭერას ეროვნულ დონეზე, საბოლოო მომხმარებლებს აწვდის რჩევებსა და რეკომენდაციებს და ორგანიზებას უწევს მთელ რიგ ღონისძიებებსა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. საერთო ევროპულ დონეზე, „eTwinning“-ს კოორდინაციას უწევს ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური (CSS), რომელსაც, ევროპის კომისიის ეგიდით, კურირებს “European Schoolnet“-ი (ევროპის 34 ქვეყნიდან განათლების მინისტრთა ქსელი). ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური (CSS) თანამშრომლობს ეროვნული მხარდაჭერის სამსახურებთან (NSS) და პასუხისმგებელია პლატფორმის განვითარებაზე, ასევე, პროფესიული განვითარების მთელი რიგი შესაძლებლობებისა და სხვა აქტივობების შეთავაზებაზე, როგორებიცაა, მაგალითად, ყოველწლიური ევროპული კონფერენცია და დაჯილდოების ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური პრიზების გადაცემას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამორჩეულ პროექტებში მონაწილეობისთვის.

წინასიტყვაობა

თიბორ ნავრაციცი
ევროკავშირის კომისარი
განათლების, კულტურის,
ახალგაზრდობისა და სპორტის
საკითხებში

დემოკრატია ერთ-ერთია იმ ღირებულებათაგან, რომლებსაც ევროკავშირი ეფუძნება. თუმცა დემოკრატია არ არის ობიექტური რეალობა. იგი ყველა მოქალაქემ უნდა შეისწავლოს, მეტი შეიტყოს მის შესახებ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრაქტიკაში გამოიყენოს. დღეს ეს იმაზე მეტად არის მნიშვნელოვანი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ჩვენს საზოგადოებებსა და ჩვენ გარშემო არსებულ სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ბევრ ახალ შესაძლებლობას გვთავაზობს. და, ამასთან, გვთავაზობს გამოწვევებსაც. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ადამიანებს იმ შიშების დაძლევაში, რომლებიც უკავშირდება მოსალოდნელი საფრთხეების გამო შფოთვასა და საზოგადოებისგან გარიყულად აღმოჩენას. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ადამიანების შესაძლებლობებითა და კომპეტენციებით აღჭურვაზე და შევუქმნათ პოზიტიური განწყობა, რომელიც მათ საზოგადოებაში ჩართულობისა და აქტიური ცხოვრებისათვის სჭირდებათ. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი საზოგადოებების შექმნაზე, რომლებიც ადამიანებში ერთობისა და კუთვნილების გრძნობას გააღვივებს.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენი განათლების სისტემების მთავარ მისიას წარმოადგენს მოსწავლეთა მხარდაჭერა, რათა მათ მეტი შეიტყონ გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული პროცესების შესახებ და აქტიურად ჩაერთონ ამგვარ პროცესებში. მოქალაქეობრივი განათლება, ყველა ფორმით და ყველა დონეზე, ადრეული ასაკიდანაც კი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მისიის შესრულების მიმართულებით. მიზანს წარმოადგენს თითოეული აღსაზრდელის ხელშეწყობა, რათა მათი ქმედებები და ქცევა პასუხისმგებელი მოქალაქის ქმედებებსა და ქცევებთან იგივდებოდეს და ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, ამავე დროს, სრულყოფილ ინფორმაციას ფლობდნენ სოციალური, ეკონომიკური, იურიდიული და პოლიტიკური ცნებებისა და სტრუქტურების შესახებ.

მოქალაქეობის სწავლა შეუძლებელია მხოლოდ სასკოლო საგნის საშუალებით. მოქალაქეობის სწავლა საჭიროებს პრაქტიკულ სწავლას, მოსწავლეებისათვის საშუალების მიცემას, რომ დააკვირდნენ, გაიაზრონ, შეადარონ, გამოიკვლიონ და გამოსცადონ იგი, დამოუკიდებლად და სხვებთან ერთად. ეჭვგარეშეა, რომ მასწავლებლებსა და სკოლაში შექმნილ დემოკრატიულ გარემოს გადამწყვეტი როლი ეკისრება ამ მიზნის მიღწევაში.

„eTwinning"-ის პროექტები ყოველივე ზემოთ თქმულის განხორციელების შესანიშნავ შესაძლებლობებს გვთავაზობს. „eTwinning"-ი მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლების დირექტორებს აძლევს ქვეყნის საზღვრებს მიღმა თანამშრომლობის შესაძლებლობას. წინამდებარე პუბლიკაციაში შესულია „eTwinning"-ის გამორჩეული და სანიმუშო პროექტები და აქტივობები, რომლებიც ემსახურება ღირებულებების დამკვიდრების, ადამიანის უფლებების დაცვის, კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობასა და დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებას საკლასო გარემოსა თუ სკოლებში.

გულწრფელად მინდა, მადლიერება გამოვხატო ყველა იმ მასწავლებლისა და მოსწავლის მიმართ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა წინამდებარე პუბლიკაციაში აღწერილ აქტივობებში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათი გამოცდილება სხვა მოსწავლეებისა და მასწავლებლების შთაგონების წყაროდ იქცევა, რათა ისინი დადგნენ იმ ძირითად ღირებულებათა დაცვის სადარაჯოზე, რომლებიც ევროკავშირს უდევს საფუძვლად. მინდა, აგრეთვე, მადლობა გადავუხადო „eTwinning"-ის მთელ საზოგადოებას, იმ წვლილისა თუ ღვაწლისთვის, რომელიც მათ გაიღეს ევროპის ქვეყნებსა და ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში მაღალი ხარისხის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის საქმეში.

შესავალი

„eTwinning“-ი: სკოლებში დემოკრატიული გარემოს შექმნა და ხელშეწყობა

„საკმარისი არ არის მოსწავლეების მომზადება მომავალში დემოკრატიულ გარემოში ცხოვრებისათვის, მათ დღესვე უნდა მივცეთ შესაძლებლობა, იცხოვრონ დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ — *ალფი კონი, მწერალი და ლექტორი*

ირენ პატერაკი
პედაგოგიკისა და მონიტორინგის მიმართულების ხელმძღვანელი, „eTwinning“-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური

დემოკრატიულ საზოგადოებაში, განმარტების თანახმად, ყველა წევრს აქვს სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია. ევროპის მასშტაბით, განათლების ხელმძღვანელი პირები თანხმდებიან მასზედ, რომ ახალგაზრდებმა საჭიროა შეიძინონ კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური მოვალეობების შესასრულებლად.

ევროკავშირმა, მთელი რიგი ინიციატივების საშუალებით, დაადასტურა სამოქალაქო განათლებისადმი ინტერესი. აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ერთ-ერთია იმ ოთხი მიზნიდან, რომელიც ევროპას დასახული აქვს განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში თანამშრომლობისთვის ევროკავშირის სტრატეგიული ჩარჩოს ფარგლებში[1]; მასში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ განათლება ხელს უნდა უწყობდეს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დაცვასა და ძირითადი უფლებების პატივისცემას, უნდა ემსახურებოდეს დისკრიმინაციისა და რასიზმის ყველა ფორმის აღმოფხვრას, და უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვების, ახალგაზრდებისა და ზრდასრული მოქალაქეების აღჭურვას შესაბამისი უნარებით, რომ მათ შეძლონ პოზიტიური ურთიერთობის დამყარება ნებისმიერი წარმომავლობის მქონე თანატოლებთან. განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში თანამშრომლობისთვის ევროკავშირის სტრატეგიული ჩარჩოს - „ET2020“-ის სამუშაო ჯგუფი, რომელიც ემსახურება განათლების საშუალებით მოქალაქეობისა და ისეთი საერთო ღირებულებების ხელშეწყობას, როგორებიცაა თავისუფლება, ტოლერანტობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მის მიერ ახლახან გამოცემულ ანგარიშში[2] ასევე, თახმდება, რომ საერთო ღირებულებებისა და სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც გულისხმობს ამ თემასთან დაკავშირებული საგნების ერთობლიობას, სხვა საგნებში მათ ინტეგრირებას და მათ ჩართვას სკოლის დემოკრატიულ კულტურასა და ეთიკაში.

სამოქალაქო განათლების შესახებ „ევრიდიკეს” [„Eurydice“] ექსპერტთა ქსელის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში[3] ნათქვამია, რომ, ჩვენს საზოგადოებებში არსებული მნიშვნელოვანი და მზარდი გამოწვევების შედეგად, გაიზარდა საზოგადოების მოლოდინი მოქალაქეობრივ

1 აღნიშნულ პოლიტიკას ეწოდება „განათლება და პროფესიული მომზადება 2020“ (“ET2020”): სტრატეგიული ჩარჩო შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: https://ec.europa.eu/education/policies/european-policy-cooperation/et2020-framework; ხოლო საბჭოს დასკვნები იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52009XG0528(01)&from=EN

2 განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში თანამშრომლობისთვის ევროკავშირის სტრატეგიული ჩარჩოს - „ET2020“ - სამუშაო ჯგუფი, რომელიც ემსახურება, განათლების საშუალებით, მოქალაქეობისა და ისეთი საერთო ღირებულებების ხელშეწყობას, როგორებიცაა თავისუფლება, ტოლერანტობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, 2016-2018 წწ., “სტრატეგიული ჩარჩოს ელემენტები”

3 „ევრიდიკე” [„Eurydice“] წარმოადგენს 42 ეროვნული ერთეულისგან შემდგარ ქსელს, რომელიც „Erasmus+“ პროგრამის 38 ქვეყანაშია დანერგილი,

განათლებასთან დაკავშირებით. ამრიგად, სამოქალაქო განათლება პრიორიტეტულ საკითხად იქცა ევროპის ქვეყნებში და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ყურადღების ცენტრში მოექცა. კონცეპტუალურ ჩარჩოს საფუძვლად უდევს სამოქალაქო განათლების ოთხი კომპეტენცია (რომლებიც განეკუთვნება კომპეტენციათა შემდეგ ჯგუფებს: ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები):

- ეფექტური და კონსტრუქციული ურთიერთობა სხვა ადამიანებთან;
- კრიტიკული აზროვნება;
- ქცევაში სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენა; და
- დემოკრატიული ქცევა.

ევროკავშირი, ასევე, აქტიურად იყო ჩართული მდგრადი განვითარებისათვის 2030 წლის დღის წესრიგის შემუშავებაში[4]. 2030 წლის დღის წესრიგში გაჟღერებულია მოწოდება მოქმედებისაკენ, რომელიც ყველა ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და გარემოს დაცვას ემსახურება. მასში, ასევე, ნათქვამია, რომ სიღარიბის აღმოფხვრისაკენ მიმართული ძალისხმევის პარალელურად, საჭიროა ისეთი სტრატეგიების შემუშავება და გატარება, რომლებიც ემსახურება სოციალური საჭიროებების, მათ შორის, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევასა და მშვიდობის შენარჩუნებას და ახალგაზრდების წარმოჩენას "ცვლილებების მნიშვნელოვან აგენტებად". მაგრამ იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა აქტიური და წამყვანი როლი მოირგონ, მათ სჭირდებათ მხარდაჭერა და ინსტრუმენტები. განათლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ახალგაზრდებისთვის იმ ინსტრუმენტების მიწოდების საქმეში, რომლებიც დაეხმარება მათ სწორად და საზოგადოების სასარგებლოდ გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი უნარი და ინოვაციური იდეები, ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში.

"eTwinning"-ის გალაქტიკა" „EPAL Nafpaktou", საბერძნეთი

გარდა ამისა, ევროპის საბჭო თავის ანგარიშში ევროპაში მოქალაქეობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ (2017 წ.), აღნიშნავს, რომ მისი წევრი 47 ქვეყნის მასშტაბით, განათლება სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც ინსტრუმენტი რომელიც ტერორიზმისკენ მიმავალ რადიკალიზაციასთან ბრძოლას ემსახურება, ასევე, ემსახურება მიგრანტებისა და ლტოლვილების წარმატებით ინტეგრირებას და დემოკრატიისადმი გულგრილობისა და პოპულიზმის აღზევების აღკვეთას. საერთაშორისო თანამშრომლობა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების მიმართულებით დღითიდღე იზრდება და დგება ეროვნული მიდგომების დაცვის სამსახურში, ზრუნავს რა სტანდარტების ამაღლებაზე და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მეტი შეიტყონ და ისწავლონ, ერთმანეთისათვის საკუთარი გამოცდილების გაზიარების საშუალებით.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტი ვიცით იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს

4 https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld

განათლებასა და ევროპაში დემოკრატიის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას შორის, აღნიშნულ ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ გამოწვევები კვლავაც რჩება. ბევრ ქვეყანაში […] მოქალაქეობრივ განათლებასა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებას ჯერ კიდევ არ ეთმობა სათანადო ყურადღება. განათლების ზოგიერთ სფეროში, მაგალითად, როგორიცაა პროფესიული განათლების სფერო, არ წარმოებს მოქალაქეობრივი განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ჩართვა. ხოლო იქ, სადაც აღნიშნული დისციპლინები ისწავლება, ხშირ შემთხვევაში, არასაკმარისად მიმდინარეობს ამ სწავლების ზემოქმედების მონიტორინგი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დისციპლინები არ არის პრიორიტეტად აღიარებული და რესურსების მიმართვა ხდება განათლების იმ სფეროებისკენ, რომლებიც შეფასებასა და კატეგორიებად კლასიფიცირებას ექვემდებარება.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია (1989წ.), რომელიც 100-ზე მეტი ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხზე, აუმჯობესებს რა მათ ჩართულობას საზოგადოებებში მიმდინარე პროცესებში. იგი ემსახურება იმ ჭეშმარიტების აღიარებას, რომ ბავშვები დამოუკიდებელ სუბიექტებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, მათ თავიანთი უფლებები აქვთ. აღნიშნული კონვენციის მე-12 მუხლში გაჟღერებულია საკმაოდ მკაფიო, თუმცა ერთგვარად ზოგადი მოწოდება ბავშვების მონაწილეობისათვის ხელშეწყობისაკენ: *"მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად." ხოლო მე-13 მუხლში ნათქვამია, რომ: "ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად, მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ."*

მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული უფლებების დაცვა, შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი იმისა, რომ ახალგაზრდები ლიდერის როლს შეითვისებენ და შეძლებენ ისეთი ქმედებების განხორციელებას, როგორიცაა პეტიციებზე ხელმოწერა, საპროტესტო აქციების ორგანიზება, სოციალური მედიის საშუალებით, კამპანიების წარმოება და ა.შ. სკოლები, როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, უნდა წარმოადგენდნენ ადგილს, სადაც ადამიანებს ექნებათ საშუალება, მეტი შეიტყონ დემოკრატიული მონაწილეობის შესახებ და მიიღონ მასთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილება. **„eTwinning"-ი** ხელს უწყობს მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და ადგილობრივი საზოგადოების დემოკრატიულ მონაწილეობას, შესაძლებლობას აძლევს რა მათ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროექტებში, კამპანიებსა და პროფესიული განვითარების პროგრამებში. "eTwinning"-ის სკოლის მისიაში, რომელიც გასული ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ყურადღება გამახვილებულია **ერთობლივი ხელმძღვანელობის მნიშვნელობაზე** და **მოსწავლეების ცვლილებების აგენტებად წარმოჩენაზე,** *„რომლებიც არიან პედაგოგიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით ინოვაციების ინიციატორებიც და, ამავე დროს, წარმოადგენენ რგოლს, რომელზეც ყველაზე მკვეთრად აისახება აღნიშნული ინოვაციები თუ ცვლილებები".*

2019 წელს „eTwinning"-ის თემას „დემოკრატიული მონაწილეობა" წარმოადგენს. „eTwinning"-ი ყველას აძლევს ნებისმიერ აქტივობაში მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობას, ვინაიდან როგორც მასწავლებლებს, ასევე, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, შეიმუშაონ თავიანთი კლასის განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგებული პროექტები. მასწავლებლები ხელს უწყობენ თავიანთი მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში და უზრუნველყოფენ განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის გამოვლენასა და სათანადოდ დაფასებას. მაგალითად, მოსწავლე, რომელსაც ხატვის ნიჭი და უნარი აქვს, აქტიურად არის ჩართული პროექტისათვის ლოგოს შექმნასა ან ღონისძიებისათვის პოსტერის შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ნებისმიერი ადამიანის მოსაზრება ღირებულია. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ გასულ წლებში, „eTwinning"– ის საშუალებით განხორციელდა მრავალი პროექტი თემებზე, რომლებიც ეხებოდა დემოკრატიას, ღირებულებებს, ადამიანისა და ბავშვის უფლებებს, სიძულვილის ენას, მედიაწიგნიერებას, სკოლებში ძალადობასა (ბულინგს) და, ე.წ. ფეიკ ნიუსს.

დემოკრატიული მონაწილეობის მნიშვნელობის ხაზგასმისა და მასწავლებელთა მუშაობის გამარტივების მიზნით, „eTwinning“-ი გვთავაზობს სხვადასხვა მასალასა და რესურსებს, როგორიცაა მაგალითად, „eTwinning“-ის კრებულები, რომლებიც წარმოადგენს „eTwinning“-ის პროექტების შემუშავებისა და განხორციელებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებს.

რამდენიმე მაგალითი „eTwinning“-ის პორტალიდან:

- მიიღე მონაწილეობა საკუთარ განათლებაში
- ჰარმონიული ცხოვრება!
- ასაკი არ გიწყობს ხელს მიიღო მონაწილეობა არჩევნებში? ამ ასაკშიც შეგიძლია შეიტანო ცვლილება საზოგადოებაში
- გლობალური მიზნებისკენ
- შენი ხმა მნიშვნელოვანია!

“eTwinning“-ის გალაქტიკა”, მოსწავლეთა ნახატები რუმინეთიდან

2019 წელს „eTwinning“-ის მიერ წარმოებული საგაზაფხულო კამპანია ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლიათ „eTwinning“-ის წევრებს, შემოქმედებითად მიუდგნენ დემოკრატიულ მონაწილეობას. წარმოსახვით სამყაროში, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მოინახულეს „eTwinning“-ის გალაქტიკაში არსებული ხუთი პლანეტა; ეს პლანეტებია: ადამიანის უფლებები; კანონი და გადაწყვეტილების მიღება; გარემო; მედია და ისტორია და მათ მონაწილეობა მიიღეს ერთობლივ ღონისძიებებსა და ონლაინსემინარებში. კამპანია მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: მედიაწიგნიერება და ფეიკ ნიუსი, სიცრუის დეტექტორებისა და მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის შესახებ მსჯელობების თანხლებით - ონლაინინსტრუმენტების გამოყენება „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს“ .

დემოკრატიული მონაწილეობა არ წარმოადგენს უბრალო თემას, რომელიც შესწავლას ექვემდებარება, იგი, ამავე დროს, არის დამოკიდებულება, მოქმედებისა და ცხოვრების სტილი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემოკრატიული მონაწილეობის პრაქტიკისათვის საუკეთესო ადგილს სკოლა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია დემოკრატიული მონაწილეობის სხვადასხვა ასპექტის გაცნობა და შესწავლა და „eTwinning“-ის პროექტების მაგალითების განხილვა, ასევე, იმ იდეებზე მსჯელობა, რომლებიც დემოკრატიულ მონაწილეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას ეხება.

პირველ ნაწილში ვეცნობით დემოკრატიული მონაწილეობის მთავარ ელემენტებს და განათლების როლს ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის საქმეში.

მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია მასწავლებელთა როლზე დემოკრატიული კომპეტენციის განვითარებაში და, აგრეთვე, აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელობაზე.

მესამე ნაწილში ვეცნობით ინსტრუმენტს, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებაში და სტერეოტიპებისა და ცრურწმენების დაძლევაში.

მეოთხე ნაწილში ასპარეზი ეთმობა ახალგაზრდებს, რომელთა თაოსნობითაც მათი ხმა აღწევს ყველამდე. აქვე მოცემულია მაგალითები, რომლებიც თქვენი მოსწავლეებისათვის შთაგონების წყაროდ იქცევა.

ამასთან, პუბლიკაციის ბოლო სამ ნაწილში აღწერილია „eTwinning"-ის პროექტები დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ღირებულებების, სკოლებში ძალადობის (ბულინგის), სიძულვილის ენის, ფეიკ ნიუსის / ყალბი ახალი ამბების, მოხალისეობის, აქტიური მოქალაქეობისა და მედიაწიგნიერების თემებზე და, აგრეთვე, მოცემულია აქტივობები, რომლებითაც მასწავლებლებს შეუძლიათ, ისარგებლონ და გამოიყენონ ისინი, როგორც შთაგონების წყარო, თავიანთი პროექტების შემუშავებისას.

თუ დემოკრატიული მონაწილეობა ჭეშმარიტად ნიშნავს საკუთარი უფლებებით სარგებლობას, ცოდნას, ინსტრუმენტებით აღჭურვასა და მხარდაჭერას, რაც ემსახურება საკუთარი საზოგადოების შეცნობასა და მის მომავალზე ზემოქმედებისათვის საჭირო ქმედებებისათვის მომზადებას, ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია მასწავლებლებისათვის იქცევა საწყის წერტილად, სახელმძღვანელოდ და შთაგონების წყაროდ და დაეხმარება მათ, თავიანთი მოსწავლეების უკეთეს მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში. მსოფლიოს ისინი დღეს უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე ოდესმე.

> **"ფარული გზავნილი, რომელსაც დღეს საზოგადოება ახალგაზრდების უმრავლესობას აწვდის, არის ის, რომ ისინი არ არიან საჭირო, რომ საზოგადოება შესანიშნავად გაართმევს თავს საკუთარი თავის მართვას, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ისინი - შორეულ მომავალში - ხელში აიღებენ საზოგადოების მართვის სადავეებს. ფაქტია, რომ საზოგადოება ვერ ართმევს თავს საკუთარი თავის სათანადო დონეზე მართვას... ვინაიდან ჩვენ გვაკლია ის ენერგია, აზროვნება, წარმოსახვის უნარი და ნიჭი, რომლებსაც ახალგაზრდები ფლობენ და რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ იმ სირთულეების მართვა, რომლის წინაშეც ჩვენი საზოგადოება დგას. არაგონივრული და უშედეგო იქნება საზოგადოების მცდელობა, მოაგვაროს მის წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები, თუნდაც ძალიან მცირეწლოვანი ახალგაზრდების სრული მონაწილეობის გარეშე". —** *ალვინ ტოფლერი, მწერალი და ფუტურისტი*

1. სკოლები, როგორც დემოკრატიის ლაბორატორიები

იზაბელ მენეზესი, პედრო დ. ფერეირა, ნორბერტო რიბეირო და კარლა მალაფაია
კვლევისა და საგანმანათლებლო ინტერვენციის ცენტრი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პორტოს უნივერსიტეტი, პორტუგალია

1916 წელს *საკუთარ ნაშრომში - „დემოკრატია და განათლება“* , ჯონ დიუიმ იმსჯელა განათლების როლზე ცხოვრებისთვის მომზადების საქმეში. ავტორის თანახმად, "სკოლის ფარგლებში მიმდინარე სწავლის პროცესი სკოლის ფარგლებს გარეთ მიმდინარე სწავლის პროცესის ნაწილს უნდა შეადგენდეს". მაგრამ მან, ასევე, აღნიშნა, რომ განათლების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ადამიანების ხელშეწყობა და მათი აღჭურვა საჭირო შესაძლებლობებით, რათა მათ თავი საზოგადოების წევრებად იგრძნონ და სანაცვლოდ იმ სარგებლისა, რასაც ისინი იღებენ საზოგადოების ფარგლებში სხვებთან ერთად ცხოვრებისგან, შეძლონ, თავადაც შეიტანონ თავიანთი წვლილი საზოგადოების კეთილდღეობის საქმეში." ამასთან, მისი აზრით, „განათლება ამგვარი ცხოვრების მხოლოდ საშუალება კი არ არის, არამედ განათლებაა თავად ამგვარი ცხოვრება“.

ამ თვალსაზრისით, განათლება არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც ცხოვრების ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესი. განათლება, რომელიც არ მიიჩნევს ცხოვრებას ყოველდღიური საგანმანათლებლო პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, წარმოშობს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ამართლებს იგი მისთვის მინიჭებულ პოლიტიკურ და სოციალურ მანდატს და, შესაბამისად, ადვილად იქცევა კრიტიკის საგნად. განათლება, ასევე, არ უნდა მიიჩნევდეს მოსწავლეებს პასიურ მომხმარებლებლად, რომლებსაც არ გააჩნიათ თავიანთი არჩევანის შესაბამისად მოქმედების უფლება და თავიანთი ქმედებების შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება (Biesta, 2011; Biesta & Lawy, 2006; Hedtke, 2013).

ფაქტობრივად, ჩვენ საკმაოდ ბევრს ვსწავლობთ დემოკრატიაზე მხოლოდ სკოლაში ყოფნით: ჩვენ ვსწავლობთ, რა არის სამართლიანობა და რა უსამართლობა, თანასწორობა და უთანასწორობა, მონაწილეობა და გარიყულობა, ძალაუფლება და ძალაუფლების გარეშე ყოფნა, მაგრამ, ასევე, ვსწავლობთ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას, კამათსა და მსჯელობას, მოლაპარაკებასა და დათმობას, სხვებისათვის წინააღმდეგობის გაწევასა და დაპირისპირებას, მათ დასაცავად გამოსვლას, ვისაც უსამართლოდ ექცევიან. ამ თვალსაზრისით, სკოლა წარმოადგენს ადგილს, სადაც უბრალოდ შეუძლებელია, არ მიიღო პოლიტიკური გამოცდილება.

არსებობს საკმაოდ ხანგრძლივი დროით მიმდინარე კვლევები, რომლებიც ცხადჰყოფს, რომ განათლება არის მთავარი ფაქტორი სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობისა, მათ შორის, არა მხოლოდ ტრადიციული გაგებით (რაც გულისხმობს, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობას), არამედ არატრადიციული გაგებითაც (რაც გულისხმობს, მაგალითად, ონლაინპეტიციებზე ხელმოწერას, საპროტესტო აქციების ორგანიზებასა და მათში მონაწილეობას, ბოიკოტირებას) (იხ. Hadjar & Beck, 2010; Quintelier, 2010; Stockemer, 2014). ეს გასაკვირი არ არის, რადგან სკოლები უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს მოსწავლეებს, საკლასო გარემოში თუ მის გარეთ, რომლებიც უკავშირდება დემოკრატიის პრინციპებით ცხოვრებასა და ამასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების საკუთარ თავზე გამოცდას. ევროპის მასშტაბით ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევის - „Catch-EyoU"[5], მონაწილე ახალგაზრდები, ფოკუსჯგუფებში საუბრების დროს ხაზგასმით აღნიშნავენ ამგვარი მრავალფეროვანი გამოცდილების მნიშვნელობას:

მარტა: *ჩვენს სკოლაში არსებულ ბევრ წრეში ვარ გაწევრიანებული: ახალგაზრდული პარლამენტი; ევროპული კლუბი და სხვა. და, ჩემი აზრით, მსგავსი წრეები ახალგაზრდებს საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს და, ასევე, არამარტო სკოლის ფარგლებში, არამედ ქვეყანისა და ევროპის მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ვფიქრობ, ჩვენ უამრავი შესაძლებლობა გვაქვს ... (მოსწავლე გოგონა პორტუგალიიდან)*

ლინდა: *ვფიქრობ, სკოლა არის ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულება (აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობის მიმართულებით), რადგან ეს არის ის ადგილი, სადაც ჩვენ ვიზრდებით, ასე რომ, თუ ინფორმაცია ცხოვრების ადრეულ ეტაპზე უნდა მიიღო, ეს ინფორმაცია უნდა მიიღო იქ, სადაც დიდ დროს ატარებ, შესაძლოა, ამგვარი ინფორმაცია ვერ მიიღო ოჯახში, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ის მიიღო სხვაგან. (მოსწავლე გოგონა შვედეთიდან)*

გეორგი: *პოლიტიკა უფრო ინტენსიურად უნდა იყოს შემოტანილი სკოლაში, რადგან როდესაც ვსაუბრობთ იმ თემებზე, რაზეც დღეს ვისაუბრეთ, პრობლემების [როგორიცაა, მაგალითად, ახალგაზრდების პოლიტიკით ნაკლებად დაინტერესება] მოგვარების ერთადერთი გზა არის ის, რომ ახალგაზრდები უკეთ ერკვეოდნენ პოლიტიკაში და მას აღიქვამდნენ სფეროდ, სადაც მათი ხმა გათვალისწინებული იქნება; სადაც მათი მოსაზრებები იქნება გათვალისწინებული; აღიქვამდენენ მას სფეროდ, რომელიც შორეული, უცხო და მათთვის მიუწვდომელი კი არა, არამედ მათთვის ახლო და მისაწვდომია ". (მოსწავლე ბიჭი ესტონეთიდან)*

პეტრე: *მოსწავლეთა საბჭო, სკოლის წარმომადგენლები, მასწავლებლები და მოსწავლეები შეხვედრებს მართავენ სკოლაში; ამ შეხვედრებს, როგორც წესი 30-40 ადამიანი ესწრება და ისინი საუბრობენ სხვადასხვა თემაზე. ისინი ერთმანეთს უზიარებენ იმას, რაც მათ აწუხებთ, რა სურთ და სკოლის დირექტორიც გვესაუბრება და მას სურს, რომ ჩვენ ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობთ, გავუზიაროთ სხვა მოსწავლეებს. (მოსწავლე ბიჭი ჩეხეთის რესპუბლიკიდან)*

5 კვლევა, რომელიც ეხება აქტიურ მოქალაქეობას ევროპელ ახალგაზრდებს შორის", რომელიც ნაწილობრივ დაფინანსებულია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის, „ჰორიზონტი 2020"-ის მიერ: http://www.catcheyou.eu

მოცემული დასკვნები სრულად ემთხვევა ბოლო ათწლეულის განმავლობაში სკოლებში წარმოებული სხვა კვლევების შედეგად მიღებულ დასკვნებს (Malafaia, Teixeira, Neves & Menezes, 2016; Menezes & Ferreira, 2014; Ribeiro, Neves & Menezes, 2017). უმთავრეს და განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოსწავლეების დამოკიდებულება სკოლისადმი, რომელიც უნდა ემყარებოდეს ნდობას, მაგრამ ამავდროულად იყოს კრიტიკულიც. ისინი გამუდმებით ამტკიცებენ, რომ სკოლა წარმოადგენს იმ ერთადერთ ადგილს, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ: "თუ არა სკოლაში, სხვაგან სად?" წარმოადგენს ხშირად დასმულ კითხვას. თუმცა, მეორე ფაქტორს წარმოადგენს აღიარება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს მონაწილეობის მიღების ბევრი შესაძლებლობა აქვთ, როგორც საკლასო გარემოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც, ბევრი მათგანი მხოლოდ ფორმალური ხასიათის არის და დირექტივის მიდგომას ემყარება - მოჩვენებითი მოქალაქეობა ქრონიკული სახის მიღების საფრთხეს უკავშირდება - და დიდწილად არის დამოკიდებული ცალკეულ მასწავლებელზე, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ სურვილი ან უნარი, თავიანთი წვლილი შეიტანონ სკოლაში პლურალური, დემოკრატიული და მონაწილეობითი კულტურის დამკვიდრების საქმეში.

ასე რომ, ვინაიდან სკოლა წარმოადგენს ადგილს, სადაც ხდება პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიღება და პოლიტიკის პრაქტიკაში ჩართვა, საჭიროა, ზედმიწევნით იქნეს შესწავლილი სკოლებში დემოკრატიული ცხოვრების ხარისხი. ხდება თუ არა მოსწავლეთა წახალისება იმისათვის, რომ მათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, მაშინაც კი, როდესაც ისინი არ ეთანხმებიან თავიანთ თანატოლებსა და/ან მასწავლებლებს? ეძლევათ მათ საშუალება, განიხილონ იმ ცოდნის შედეგები, რომლებსაც ისინი ცხოვრებაში იძენენ? უზრუნველყოფს ეს შესაძლებლობები მოსწავლეთა ჩართვას რეალურ ცხოვრებაში - სკოლასა თუ საზოგადოებაში - არსებული პრობლემების მოგვარების პროცესებში? რეალურად არის თუ არა გათვალისწინებული მოსწავლეთა მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს სკოლაში პროცესების ორგანიზება და როგორ წარმოებს სკოლის მართვა? საერთო ჯამში, ჩვენი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ შეუძლებელია ვისაუბროთ სკოლის როლსა და ფუნქციაზე დემოკრატიული განათლების საქმეში, თუ განტოლებიდან ამოვიღებთ ცოცხალ კომპონენტს, ანუ, თუ ჩვენ არ ჩავრთავთ სასკოლო განათლებაში დემოკრატიასა და პოლიტიკას.

2. დემოკრატიული მონაწილეობა სკოლაში

2.1 მასწავლებელთა როლი დემოკრატიული კომპეტენციის განვითარების საქმეში

პასკალ მომპუან-გეიარდი
მასწავლებელი, პედაგოგი, სოციალური ფსიქოლოგი, „ვისწავლოთ, რათა შევცვალოთ“ ორგანიზაციის პრეზიდენტი

ილდიკო ლაზარი
ინგლისური ენის პედაგოგიკის კათედრის უფროსი ლექტორი, ბუდაპეშტის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი, უნგრეთი

შარლოტ კესარი
დაწყებითი სკოლის დირექტორი, წმიდა მარგარეტის კოლეჯი, მალტა

დემოკრატიული სასკოლო გარემოს შექმნა ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობაა

სკოლა დემოკრატიული ერთბაშად ვერ გახდება, ეს მიმდინარე პროცესია და შეიძლება სულ უხარვეზოდ არც კი მიმდინარეობდეს, ან შეიძლება არც იყოს ჰარმონიული, ან წინააღმდეგობრივი შეხედულებებისა და მოსაზრებებისგან თავისუფალი. ჭეშმარიტად დემოკრატიული გარემო ნიშნავს გარემოს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება და სადაც ადამიანები თანხმდებიან იმაზე, რომ შესაძლებელია, არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა მთელ რიგ საკითხებზე, გარემოში, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა და სადაც პატივს სცემენ აღნიშნულ ღირებულებებს. მაშინ, როცა დემოკრატიული სასკოლო გარემოს შექმნაზე უშაულოდ პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი ან სკოლის ხელმძღვანელი, დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს სხვა მხარეებიც, რომლებიც სკოლის წარმატებით არიან დაინტერესებული, დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ფართო საზოგადოება (Bäckman & Trafford, 2007). დემოკრატიული გარემო ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მიიღწევა.

განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია დღევანდელ სირთულეებსა და გაურკვევლობებთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავების საქმეში

თანამშრომლობისთვის ევროპის სტრატეგიულ ჩარჩოში (“ET2020”, იხ. შესავალი, სქოლიო 1) ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ განათლებასა და პროფესიულ მომზადებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ევროპისა და მისი მოქალაქეების წინაშე ამჟამად მდგარი და უახლოესი მომავლისთვის პროგნოზირებული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური ხასიათის გამოწვევებთან გამკლავების საქმეში. ევროპის მასშტაბით თანამშრომლობის მთავარი

მიზანი უნდა იყოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემების მხარდაჭერა, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს:

(ა) ყველა მოქალაქის პირადი, სოციალური და პროფესიონალური რეალიზაცია;

(ბ) ყველა მოქალაქის მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი აღჭურვა დასაქმების შესაძლებლობებით და დემოკრატიული ღირებულებების, სოციალური ერთობის, აქტიური მოქალაქეობისა და ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა.

აღნიშნული ამოცანები ეხმიანება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ხედვას განათლების შესახებ (რეკომენდაცია CM/Rec(2007)6), რომელიც ოთხ ძირითად მიზანს მოიცავს:

1. ფართო ცოდნის ბაზის შექმნა,
2. შრომის ბაზრისთვის მომზადება,
3. აქტიური მოქალაქეობისთვის მომზადება და
4. პიროვნული განვითარება

პირველი ორი მიზანი წარმოადგენს მიზნებს, რომლებზეც საჯარო სკოლებია ორიენტირებული. თუმცა, ალბათ, უფრო იმის გამო, რომ დღეს ჩვენ გვიწევს ცხოვრება იმ წნეხის ქვეშ და იმ პირობებში, რომლებსაც არასტაბილური, გაურკვეველი, რთული და არაპროგნოზირებადი (VUCA) გარემო გვიქმნის, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა უფრო და უფრო მეტად ექცევა ყურადღების ცენტრში. განათლებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება და იმის განსაზღვრა, თუ რისი სწავლებაა ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვებისა და მოზარდებისთვის, შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რომლებიც თანამშრომლობენ საერთო მიზნების მისაღწევად: ამ მიმართულებით დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ მშობლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამოქალაქო საზოგადოება და თავად ახალგაზრდები.

სულ უფრო და უფრო მეტი პედაგოგი ცდილობს, სასწავლო გეგმის ფარგლებში ექსპერიმენტის სახით შეიტანოს სასწავლო აქტივობები, რომლებიც ემსახურება მოსწავლეებისათვის იმ ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის გადაცემას, რომლებიც მათ დაეხმარება, თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიულ კულტურაში. ისინი ცდილობენ, სასწავლო აქტივობებსა თუ საკლასო გარემოში ჩანერგონ დემოკრატიული პროცესები, როგორებიცაა კლასის მართვის დემოკრატიული სტილი, თანამშრომლობითი სწავლების ელემენტები, მონაწილეობითი შეფასება (თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება) და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ახალგაზრდების სწავლა-განათლების პროცესში.

ვინაიდან განათლების სპეციალისტები თანდათან უფრო რწმუნდებიან იმაში, რომ განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებები იცვლება, ჩვენ შევდივართ იმ ფაზაში, როდესაც საჭიროა მოქმედება შეცვლილ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით.

განათლების სფეროს ხელახლა გააზრება: საჭიროა აქტიური მოქალაქეობის სწავლებისა და სწავლის მნიშვნელობის აღიარება

განათლების სფეროში ცვლილების გახორციელების საჭიროება, უკვე წლებია, რაც დადასტურებული და აღიარებულია. ამ მიზნით, რამდენიმე საერთაშორისო ასოციაციამ და ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. შესავალში ნახსენები ლიტერატურის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს *მანიფესტშიც: „განათლება ცვლილების სამსახურში - ცვლილება განათლების სამსახურში“* (2014) ხაზგასმით არის საუბარი განათლების სფეროს გადასინჯვის მნიშვნელობის შესახებ: “სასკოლო განათლების მოდელები, რომლებიც ჩვენ წარსულიდან მემკვიდრეობის სახით გვერგო, ელიტისტური, იერარქიული და ექსკლუზიურია; აღნიშნული მახასიათებლები შესაძლებელია წლების განმავლობაში შერბილდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ბევრი ქვეყნის საშუალო და უმაღლესი

განათლების სისტემათა დემოკრატიზაციის პარალელურად, არ მომხდარა ამ მახასიათებლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება“ (ევროპის საბჭო, 2014 წ., გვ. 21).

21-ე საუკუნეში, სკოლადამთავრებულთა მიმართ, დამსაქმებელთა მოლოდინების განხილვის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: თანამშრომლობა, რთული პრობლემების გადაჭრა, შემოქმედებითი აზროვნება, ავტონომია, შემოქმედებითობა, თანაგრძნობა, ანგარიშვალდებულება, ემოციური გაწონასწორებულობა, მულტიპერსპექტიულობა, კოგნიტური მოქნილობა, მეწარმეობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის მზადყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარებს განეკუთვნება. თუმცა, სკოლებში გაბატონებული იერარქიული ურთიერთობები და დანაწევრებული სასკოლო საგნების ტრადიციული ფრონტალური მეთოდებით სწავლება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელს უწყობდეს მოსწავლეებში ამ უნარებისა და მახასიათებლების განვითარებას. *მანიფესტში* ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ: “ქცევის შეცვლისა და ახალი კონცეფციებისა და ღირებულებების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეებთან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ემპირიული სწავლის მეთოდი, სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში, რაც მათ საშუალებას მისცემს, აწარმოონ დაკვირვება, გააზრება, შედარება, კვლევა, ექსპერიმენტი - ერთი სიტყვით, ყველა ის აქტივობა, რომელიც ხშირად არ არის საკმარისად ინტეგრირებული სწავლა-სწავლების ტრადიციულ მიდგომებში, როგორიცაა, მაგალითად, "ზეპირად სწავლა" და ფრონტალურ მიდგომებში, რაც გულისხმობს ერთ "პედაგოგს, რომელმაც იცის და საუბრობს" და "მოსწავლეს, რომელმაც არ იცის და უსმენს” (ევროპის საბჭო, 2014 წ., გვ. 20).

2013 წელს დაწყებული პროექტის დასასრულს, ევროპის საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩო* (2017), რომელიც ქვეყნების ხელისუფლებებსა და განათლების საკითხებით დაინტერესებულ პირებს აწვდის რეკომენდაციებს, რომლებიც არის რჩევების ფორმით მოცემული და რომელთა გამოყენებაც და ადაპტირებაც მათ შეუძლიათ კონკრეტულ კონტექსტზე მორგების მიზნით. აღნიშნული ჩარჩო გვთავაზობს იმ კომპეტენციათა ყოვლისმომცველ მოდელს, რომლებითაც საჭიროა მოსწავლეების აღიჭურვა, დემოკრატიის კულტურაში ეფექტური მონაწილეობის მიზნით. ჩარჩოში, ასევე, შესულია დესკრიპტორები და მოცემულია აღნიშნული ჩარჩოს დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

მოსწავლეებში ამ უნარების განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა მასწავლებელთა როლის სრულყოფა. “მჭიდროდ შეკავშირებულ მსოფლიოში მასწავლებლები, როგორც სწავლის პროცესის ხელშემწყობი პირები, უნდა ფლობდნენ კონკრეტულ გამჭოლ კომპეტენციებს, გარდა იმ კომპეტენციებისა, რომლებიც იმ საგანს უკავშირდება, რომლებსაც ისინი ასწავლიან“ (ევროპის საბჭო, 2014 წ., გვ. 24). აღნიშნულმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა *გლობალური კომპეტენციის ჩარჩოს* (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (OECD-PISA), 2018 წ.) შემუშავებისა და დამტკიცების შემდგომ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (OECD-PISA) ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „გლობალური კომპეტენცია არის ადგილობრივი, გლობალური და ინტერკულტურული საკითხების კვლევის, სხვათა პერსპექტივებისა და მსოფლმხედველობის გაგებისა და დაფასების, სხვადასხვა კულტურული კუთვნილების მქონე ადამიანებთან ღია, სათანადო და ეფექტურ ურთიერთობაში შესვლისა და კოლექტიური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისათვის მოქმედების შესაძლებლობა” (2018 წ.).

ამგვარ ვითარებაში, ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება მასწავლებლების ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ, დაეუფლონ ამ კომპეტენციებს თავად და დაეხმარონ თავიანთ მოსწავლეებს ამ კომპეტენციების დაუფლებაში, რათა მათ შეძლონ, ისწავლონ ცვლილების გახორციელების მიზნით და ცვლილება შეიტანონ სწავლის მიზნით.

მასწავლებელთა ხელშეწყობა 21-ე საუკუნეში საჭირო კომპეტენციების განვითარების საქმეში

ბეიჟარდი, მეიერი, მორინე-დერშაიმერი და ტილემა (2005 წ.) მოითხოვენ მასწავლებელთა პროფესიონალიზმის განმარტებაში ცვლილების შეტანას და ყურადღების გამახვილებას მუდმივად ცვალებად კონტექსტში მასწავლებელთა აზროვნებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. იგივე ავტორები ამტკიცებენ სწავლებისა და მასწავლებელთა განათლებისადმი დინამიკური მიდგომის უპირატესობას, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის პროფესიული იდენტობის განვითარებისადმი პრიორიტეტის მინიჭებას. მასწავლებელთა პროფესიული იდენტობის ჩამოყალიბება მოითხოვს მასწავლებელთა ე.წ. „პოლიტიკური ზღვარის“ - როგორც მას მოკლერი (2011 წ.) უწოდებს - განვითარებას, ანუ დემოკრატიისათვის საჭირო შემოქმედებითი და რეფლექსიური განათლების მხარდაჭერის უნარის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პროცესი, რომელიც არასდროს სრულდება: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის მზადყოფნა და ემპირიული სწავლა არსებითი მნიშვნელობისაა.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ - „ისწავლე, რათა შეცვალო“ - რომელიც ემსახურება პიროვნების განვითარებისათვის ხელშეწყობას, სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის შემოქმედებითი ემანსიპაციის ჩარჩოს ფარგლებში, შექმნა *ბარათები დემოკრატიისათვის* . 60 ბარათისგან შემდგარი ეს კომპლექტი განკუთვნილია ინდივიდუალური პირებისა ან ადამიანების ჯგუფებისათვის და ეხმარება მათ, გააცნობიერონ საკუთარი დამოკიდებულებები, უნარები, ცოდნა და გაგება, რაც ემსახურება უფრო დიდი წვლილის შეტანას დემოკრატიული გარემოს შექმნასა და საკუთარი პრაქტიკისა და ქცევის გაუმჯობესებას. კომპეტენციები, რომლებსაც დემოკრატია მოითხოვს, წარმოადგენს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ცვალებად სამუშაო გარემოში ესოდენ საჭიროა: დღეს მოთხოვნა ძალიან დიდია 21-ე საუკუნის უნარებზე, როგორებიცაა ადაპტაციის უნარი, სხვებთან და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის უნარი და რთული პრობლემების მოგვარების უნარი.

მასწავლებლებისათვის განკუთვნილი *ბარათები დემოკრატიისათვის* შექმნილია სპეციალურად, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს იმ დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის გააზრებაში, შემოწმებასა და გაუმჯობესებაში, რომლებიც საჭიროა დემოკრატიული პროცესების განხორციელებისთვის და/ან საკლასო გარემოში საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. ბარათების საშუალებით ხდება იმ მნიშვნელოვანი ქცევების იდენტიფიცირება და აღწერა, რომელიც უნდა დახვეწოს პირმა, რომელიც სწავლის პროცესს უძღვება, რათა შეძლოს ინკლუზიური და დემოკრატიული სასწავლო გარემოს შექმნა.

ორგანიზაციამ -„ისწავლე, რათა შეცვალო“ შეიმუშავა აქტივობების მთელი სერია, რომელიც *ბარათების* გამოყენებით ხორციელდება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფას ემსახურება. აღნიშნული აქტივობები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში, ორგანიზაციის „ისწავლე, რათა შეცვალო“ ოფიციალურ ვებგვერდზე (www.learntochange.eu).

- შეფასების გადასინჯვა
- ჩემი მოგზაურობა - მოსწავლეებისა და მასწავლებლების თვითშეფასება დემოკრატიის ბარათებით
- ბლიცინტერვიუები დემოკრატიისათვის
- შვიდი იდეა უფრო დემოკრატიული წლისთვის სკოლაში
- ვებინარი ‘მეწარმე მოქალაქის ჩამოყალიბება’, სასკოლო განათლების ინტერნეტპლატფორმაზე „School Education Gateway“
- ვებინარი *“ბარათები დემოკრატიისათვის“*

შესახებ სხვა უფასო რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს დემოკრატიული სასკოლო გარემოს შექმნასა და დემოკრატიული კომპეტენციების განვითარებას, მოიცავს:

- **<u>კომპასი</u>:** ადამიანის უფლებების სწავლებისთვის შექმნილი სახელმძღვანელო, რომელიც ახალგაზრდა ლიდერებს, მასწავლებლებსა და განათლებაზე პასუხისმგებელ სხვა პირებს აწვდის კონკრეტულ იდეებსა და პრაქტიკულ აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდების დაინტერესებასა და მათ მოტივირებას.
- **<u>კომპასიტო</u>:** ბავშვებს, პედაგოგებს, მასწავლებლებსა და მშობლებს აწვდის იდეებს აქტივობებისა და მეთოდების შესახებ, რომლებიც ემსახურება ბავშვებისათვის ადამიანის უფლებების გაცნობას, მათთვის საინტერესო და შემოქმედებითი გზებით.
- **<u>„TASK“ დემოკრატიისათვის“ - „TASKs for democracy“</u>**: 60 აქტივობისგან შემდგარი სახელმძღვანელო, ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში მოღვაწე მასწავლებლებისათვის, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს პროფესიული საზოგადოების პესტალოცის პროგრამის ფარგლებში და ემსახურება გამჭოლი დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის შესწავლასა და შეფასებას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამგვარ რესურსებზე წვდომა, მასწავლებელთა განათლების შესაბამის შესაძლებლობებთან ერთად, ხელს შეუწყობს და წაახალისებს მასწავლებლებს საკუთარ პრაქტიკაში ახალი იდეების ჩართვის მიმართულებით.

2.2 „eTwinning“-ის გამორჩეული პროექტები

„eTwinning“-ის ფარგლებში, მოსწავლეები და მასწავლებლები რეგულარულად მუშაობენ ადამიანის უფლებებთან, ღირებულებებთან და დემოკრატიულ კულტურასთან დაკავშირებულ თემებზე. ამ თავში აღწერილია „eTwinning“-ის ფარგლებში აღნიშნულ თემებზე განხორციელებული პროექტების მაგალითები:

“კარგად ვიცნობ ჩემს მორალურ ღირებულებებს”



მონაწილეთა ასაკი:
4 – 15 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საბერძნეთი, რუმინეთი, ტუნისი, თურქეთი

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვანი და სათანადო ღირებულებების იდენტიფიცირებისა და უკეთ გაგებისათვის საჭირო ინსტრუმენტს. აღნიშნული პროექტი აგებულია უნივერსალურ მორალურ ღირებულებებზე, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანაგრძნობა, სიყვარული, პატივისცემა, პასუხისმგებლობა და პატიოსნება. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ აქტიური მოქალაქეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების მიმართულებით და პროექტი გულისხმობდა ყოველთვიურ აქტივობებს. აღნიშნული აქტივობები მოიცავდა ჟურნალის გამოცემას, რომელშიც აღწერილი იყო თითოეული მორალური ღირებულება და მისი მნიშვნელობა, ასევე, ერთობლივი ვებგვერდის შექმნას, ინტერნეტსივრცეში ონლაინ წარმოებულ დისკუსიებსა

და კრებულის შედგენას, რომელშიც ყველა სკოლამ საკუთარი წვლილი შეიტანა. სხვა აქტივობები უკავშირდებოდა ხელოვნებასა და ხელობას და გულისხმობდა მოსწავლეების დიზაინით ქაღალდის ყვავილებისა და მაისურების შექმნას. პროექტის დასასრულს, მოეწყო გამოფენა, რომელიც თურქეთის ერთ-ერთ სკოლაში გაიმართა და რომელზეც გამოფენილი იყო მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ შექმნილი ნამუშევრები.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/57121

"მერიემი და მისი მეგობრები: უკეთესი მსოფლიოს მოქალაქეები"

MYRIEM AND FRIENDS

CITIZENS OF A BETTER WORLD

მონაწილეთა ასაკი:
5-17 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, ტუნისი, უკრაინა

მერიემი თოჯინაა ტუნისიდან და იგი პროექტის მთავარი მოქმედი პირია. სხვა ქვეყნის მოსწავლეებმა თავიანთ სკოლებში შექმნეს თოჯინები, რომლებიც მერიემის მეგობრები არიან და შემდეგ მერიემმა და მისმა მეგობრებმა 10 ქვეყანაში იმოგზაურეს; თითოეულ ქვეყანაში ისინი სამ-სამი თვით რჩებოდნენ და ქვეყანაში მათი ჩასვლის დღიდან, მოსწავლეები იწყებდნენ მუშაობას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. პროექტის ფარგლებში, თოჯინები გამოყენებული იყო ინსტრუმენტების სახით და აქტივობები ემსახურებოდა ისეთი ღირებულებების შესახებ ცნობადობის ამაღლებას, როგორებიცაა ტოლერანტობა, მეგობრობა, თანასწორობა, მშვიდობა, პატივისცემა და პასუხისმგებლობა. მოსწავლეებმა შექმნეს საერთაშორისო კალენდარი, რომელშიც შესული იყო ყველა ქვეყნის დღესასწაულები და ღირშესანიშნავი თარიღები; ამ კალენდრის საშუალებით, ისინი ეცნობოდნენ სხვადასხვა კულტურას. მოსწავლეებს, ასევე, ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოსულიყვნენ ამ ღირებულებებთან დაკავშირებული ინიციატივებით, რომელსაც ისინი განახორციელებდნენ ადგილობრივ დონეზე ან სხვა ქვეყნების სკოლებთან ერთად. მერიემი და მისი მეგობრები საბოლოოდ შინ დაბრუნდნენ, თუმცა მანამდე ისინი შეიკრიბნენ „კონკორდვილში" - წარმოსახვითი იდეალური ქვეყანა, რომელიც მოსწავლეებმა შექმნეს. „კონკორდვილში" პატივს სცემდნენ ყველა იმ ღირებულებას და იცავდნენ ქცევის ყველა იმ წესს, რომელიც, მოსწავლეთა გადაწყვეტილებით, უმნიშვნელოვანესია სამართლიანი საზოგადოებისთვის. ყოველივე ეს, შემდგომ, წერილობითი ფორმით აისახა ერთობლივად შედგენილ მანიფესტში: *"კონკორდვილი ჩვენი ოცნების საზოგადოებაა, სადაც არ მოქმედებს ეროვნული საზღვრები"* . მანიფესტი მოსწავლეებმა შექმნეს საგანძურზე ნადირობის თამაშის საშუალებით, სადაც მოსწავლეები იყენებდნენ QR-კოდებს კროსვორდის შესავსებად და ნაპოვნ სიტყვებს იყენებდნენ მანიფესტის ტექსტის ასაწყობად. მანიფესტი ასახავს ადამიანის იმ უფლებებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლეებმა შეისწავლეს და განიხილეს პროექტის განხორციელების დროს. მოსწავლეებმა, ასევე, შექმნეს ადამიანის ღირებულებებთან დაკავშირებული ინტერაქტიული გამოსახულება „Thinglink"-ზე და, „Google Doc"-ის საზიარო გვერდზე მუშაობის შედეგად, ერთობლივად დაწერეს მოთხრობა "ბიჭი სირიიდან" და ლტოლვილთა დღიური, რომელიც, ასევე, ილუსტრირებულია პროექტის მონაწილე ყველაზე მცირე ასაკის მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატებით. მოცემული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს ჰქონდათ

შესაძლებლობა, ემსჯელათ ისეთ "რთულ" საკითხებზე, როგორებიცაა ადამიანებით ვაჭრობა, შიმშილი და სიმდიდრის არათანაბარი განაწილება, ინკლუზიურობა და სხვა. **პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:** https://twinspace.etwinning.net/9507

“ნაპერწკლები”

მონაწილეთა ასაკი:
11-18 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ჩეხეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, იტალია, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი, ესპანეთი, ტუნისი, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო

მოცემული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა შეისწავლეს და გამოიკვლიეს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები, რაც, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საუკეთესო დასაწყისია განათლებისა და თანამედროვე საზოგადოებებში მისი როლის გასააზრებლად. პროექტის საშუალებით, მიღწეული იქნა მიზანი, რომელიც გულისხმობდა მოსწავლეებსა და სკოლის საზოგადოების წევრებს შორის მდგრადი განვითარების შესახებ ცნობადობის ამაღლებას. მოსწავლეები, პროექტის დასაწყისში, შეუდგნენ 17 მიზნიდან თითოეულის ერთობლივ შესწავლასა და კვლევას; ეს მიზნებია: სიღარიბის აღმოფხვრა, შიმშილის აღმოფხვრა, ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, შემცირებული უთანასწორობა, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები და პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

მოსწავლეებმა შექმნეს ევროპული ლექსიკონი, რათა ყველა მოსწავლეს შეძლებოდა, გარკვეულიყო მოცემული მიზნების არსში. ხარისხიანი განათლების მიზანზე მუშაობის პროცესში, მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც მთელი მსოფლიოს წინაშე დგას და რომელიც გულისხმობს სასკოლო განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობასა და მსოფლიო მასშტაბით განათლების ხარისხის თვალსაზრისით არსებულ სხვაობებს. სიღარიბის აღმოფხვრის მიზანზე მუშაობისას, მოსწავლეებს დაევალათ, გაერკვიათ, თუ რამდენად იყო შესაძლებელი დღეში 1,25 დოლარად ცხოვრება; მოსწავლეები იღებდნენ ფოტოებს ადგილობრივ სუპერმარკეტებში და ადგილობრივ კაფეებსა და რესტორნებში ატარებდნენ გამოკითხვას, თუ რისი ყიდვა იყო შესაძლებელი ამ თანხით. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეები მუშაობდნენ ერთობლივად, საკუთარი ქვეყნის ან სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებისაგან შემდგარ ჯგუფებში. ისინი ცდილობდნენ აღნიშნული მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევას და განიხილავდნენ იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელი გახდებოდა ადგილობრივი საზოგადოების მდგრადობის უზრუნველყოფა. მოსწავლეებმა, პარალელურად, გაიუმჯობესეს ინგლისურ ენასთან, მათემატიკისთან და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები და გახდნენ გლობალური მოქალაქეები, რომელთა ძალისხმევაც მიმართულია დღევანდელი მსოფლიოს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარებისკენ.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/43401

“მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია”

მონაწილეთა ასაკი:
12-15 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
ბელგია, ხორვატია, გერმანია, საბერძნეთი, პორტუგალია, მოლდოვას რესპუბლიკა, რუმინეთი

როგორც წინამდებარე თავის შესავალში აღვნიშნეთ, ახალგაზრდების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა სკოლიდან იწყება. მასწავლებლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიული სასკოლო გარემოს შექმნის საქმეში, ისინი ამხნევებენ მოსწავლეებს, რათა მათ აიღონ ინიციატივა და კონსტრუქციულად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები. სწორედ ამას ემსახურებოდა პროექტი: “მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია”: მოსწავლეები გაეცვნენ ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა თანასწორობა, პატივისცემა, ტოლერანტობა და მრავალფეროვნება. აღნიშნული ძირითადი ღირებულებების შესწავლის შემდეგ, მოსწავლეებმა იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სამართლიანობა და დისკრიმინაციისა და უსამართლობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება. მოსწავლეებმა, ერთობლივი მუშაობისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში შესული თითოეული უფლების კვლევის შედეგად, შეადგინეს ადამიანის უფლებების განსხვავებული კრებული, რომელშიც ადამიანის უფლებები შესულია ხელოვნების ნიმუშების ასლების სახით. პროექტის განმავლობაში, ყველა მონაწილეს მიეწოდა პროექტის შინაარსთან დაკავშირებით შერჩეული ამონარიდი ანა ფრანკის დღიურიდან: *: “რა ბედნიერებაა, როცა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დაუყოვნებლივ დაიწყოს მსოფლიოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა”.*

პროექტის მსვლელობისას, მოსწავლეების ერთობლივი ძალისხმევით, შეიქმნა საზიარო ელექტრონული ჟურნალი, რომელში შესული სტატიებიც ეხებოდა დემოკრატიას, დემოკრატიულ ღირებულებებსა და მათთან დაკავშირებულ და ევროპაში თუ მის ფარგლებს გარეთ აქტუალურ საკითხებს. ჟურნალზე - სახელწოდებით "ჩვენი გმირები" - მუშაობისას მოსწავლეები არჩევდნენ პიროვნებებს და იკვლევდნენ მათ ისტორიებს, რომლებიც უკავშირდებოდა ადამიანის უფლებებს, ღირებულებებსა და დემოკრატიას. მოსწავლეებმა წაიკითხეს „ანა ფრანკის დღიური“ და გააანალიზეს იგი ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით; შედეგად, მოსწავლეებმა იმუშავეს წაკითხულის კრიტიკულად გააზრების უნარისა და შემოქმედებითად წერის უნარის გამომუშავებაზე და გააანალიზეს დემოკრატიული აზროვნების თვალსაზრისით დღევანდელ დღეს არსებული ვითარება, წარსულთან პარალელების გავლებით. მათ ანას წარმოსახვითი მეგობრის - კიწის სახელით მისწერეს წერილები ანას. ეს წერილები შემდეგ გასაცნობად და განსახილველად გადაეცა სხვა პარტნიორებსა და მშობლებს და გამოქვეყნდა ადგილობრივ მედიაში. პარტნიორებმა შექმნეს ვებგვერდი, რომელზეც განთავსდა ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიასთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ამსახავი ინფორმაცია და, ამ ვებგვერდის საშუალებით, მთელს მსოფლიოს ჰქონდა შესაძლებლობა, გასცნობოდა პროექტის შედეგებს. ვებგვერდზე წარმოდგენილია პროექტში მონაწილე ახალგაზრდების შეხედულებები, ასევე, ის ხელოვნების ნიმუშები, ცხოვრების წესი, ისტორია, პოეზია და გასტრონომია, რომელსაც ისინი იზიარებენ და აფასებენ.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/50844

“გამოვხატავთ საკუთარ მოსაზრებებს”

მონაწილეთა ასაკი:
15 – 17 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
დანია, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი

ევროპის საბჭოს „განათლება ცვლილებისათვის“ მანიფესტის ერთ-ერთ მიზანს, როგორც ამ თავის დასაწყისში განვმარტეთ, წარმოადგენს განათლების სფეროს გადასინჯვა. აღნიშნულ ხედვას ემყარება პროექტი სახელწოდებით: “გამოვხატავთ საკუთარ მოსაზრებებს”, რომელსაც საფუძვლად უდევს შეხედულება იმის თაობაზე, რომ დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობა სრულებით განსხვავდება მათი წინამორბედი თაობისაგან. მოსწავლეებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადი, სხვადასხვა მედია თუ გასართობი საშუალებით. მოცემული პროექტის შექმნაზე მუშაობდნენ მასწავლებლები დანიიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან და რუმინეთიდან და მათ მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა კულტურისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების განმტკიცება, კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავება და ისეთი ცნებების უკეთ გააზრება, როგორებიცაა, ადამიანის უფლებები, დემოკრატიასთან დაკავშირებული ვალდებულებები, პირადი უსაფრთხოება და გადაწყვეტილების მიღება.

პროექტის განმავლობაში მოსწავლეები ჩაბმული იყვნენ როგორც ონლაინ, ასევე, ოფლაინ რეჟიმში მიმდინარე აქტივობებში; პროექტის დასაწყისში მოსწავლეები დაიყვნენ გუნდებად და შექმნეს პლაკატები, რომლებიც ასახავდა დემოკრატიასთან დაკავშირებულ თემებს და წარმოაჩენდა დემოკრატიის მნიშვნელობას. პლაკატებზე მოსწავლეები ხელით მუშაობდნენ, ხატავდნენ, აფერადებდნენ და ამუშავებდნენ ნამუშევრებს ფოტოკოლაჟისთვის განკუთვნილი ონლაინინსტრუმენტების გამოყენებით. მოსწავლეები, ჟურნალისტ-გამომძიებლების მსგავსად, აგროვებდნენ ინფორმაციას დემოკრატიისათვის დამახასიათებელი საკითხების შესახებ და წერდნენ სტატიებს, მათ მიერ წარმოებული კვლევების ანგარიშის სახით. პროექტში ამ თანამშრომლობითი აქტივობის ჩართვის ინიციატივა ეკუთვნის მოსწავლეებს, რომლებიც არჩევდნენ თემებს, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი მოსწავლეებისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად ამუშავებდნენ შერჩეულ თემას და წერდნენ სტატიებს. შემდეგ წარმოებდა ამ სტატიების შეგროვება და მათი გამოქვეყნება ინტერნეტ ჟურნალში სახელწოდებით „დემოკრატია ჩვენს ცხოვრებაში“. პროექტის დასასრულს, როდესაც პროექტის მონაწილეები პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს, „Erasmus +“-ის ფარგლებში ორგანიზებული მობილობის საშუალებით, მათ მოაწყვეს დებატები, სადაც მოსწავლეთა ჯგუფები იკვლევდნენ შესაბამის თემებს, იღებდნენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს, აცნობდნენ მოსწავლეთა სხვა ჯგუფებს თავიანთ მოსაზრებებს და განიხილავდნენ სხვადასხვა მხარის არგუმენტებს.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/11338

2.3 „eTwinning“-ის ფარგლებში რეკომენდებული აქტივობები

ბავშვებს უნდა ვასწავლოთ დემოკრატიის - როგორც ცხოვრების წესის დაფასება; დემოკრატიის მშენებლობისათვის საჭირო უნარები თავისთავად და ავტომატურად განვითარებას არ ექვემდებარება, ამიტომ დემოკრატიის სწავლება ნიშნავს ბავშვების მომზადებას იმისთვის, რომ მომავალში ისინი ჩამოყალიბდნენ მოქალაქეებად, რომლებიც შეინარჩუნებენ დემოკრატიას და იზრუნებენ მის გაუმჯობესებაზე. ამრიგად, დემოკრატია უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს ასპექტს განათლების ყველა ფორმაში, შესაძლო ყველაზე ადრეული ასაკიდან. დემოკრატიული განათლება გულისხმობს ცნობისმოყვარეობის, დისკუსიის წარმოების უნარის, შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობას და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღების სწავლებას. სწავლის ამგვარ შედეგებზე გასვლა მხოლოდ მოქმედებით არის შესაძლებელი. ბავშვებმა რომ უკეთ გაიგონ დემოკრატიის ძირითადი ცნებები, ამისათვის საჭიროა პრაქტიკა, რაც ნიშნავს დემოკრატიულ გარემოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას. სკოლები, დაწესებულებები, ბავშვთა კლუბები, ორგანიზაციები და ოჯახები, რომლებიც პატივს სცემენ დემოკრატიულ პრინციპებს და გააჩნიათ რეალური დემოკრატიული სტრუქტურები, საუკეთესო მაგალითია ბავშვებისათვის და ეხმარება მათ, უკეთ გაიგონ, თუ რას ნიშნავს დემოკრატია.

> **„მნიშვნელოვანია, ბავშვებსა და ახალგაზრდებს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია დემოკრატიის კულტურისა და ადამიანის უფლებების შესახებ, რადგან დამოკიდებულებები და ქცევა ადრეულ ასაკში ყალიბდება და ადრეულ ასაკში შეთვისებულმა დამოკიდებულებამ ან ქცევამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად განაპირობოს მომავალში საზოგადოებაში მათი მონაწილეობა და ჩართულობა“.** *დემოკრატიის მომავლის შესახებ ევროპის საბჭოს ფორუმის დასკვნები, 2007 წლის ივნისი*

ადამიანის უფლებები და დემოკრატია წარმოადგენს ცნებებს, რომელთაგანაც ერთი მეორეს გულისხმობს და პირიქით. ადამიანის უფლებები წარმოადგენს ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის საფუძველს და, ამავე დროს, ეს სისტემები საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები იყოს დაცული და გარანტირებული.

ქვემოთ მოცემულია აქტივობები, რომლებიც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს „eTwinning“-ის პროექტების განხორციელებისას და რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა მხრიდან დემოკრატიული მონაწილეობის მნიშვნელობის უკეთ აღქმასა და გაგებას.

“სტუმარი სხვა პლანეტიდან”



მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ თავიანთი ფანტაზია და შემოქმედებითი უნარი უცხოპლანეტელი თოჯინების შესაქმნელად, რომლებსაც შემდეგ პარტნიორი სკოლები ერთმანეთს უცვლიან. მასწავლებლები ავალებენ თავიანთ მოსწავლეებს, განიხილონ, თუ რისი გაგება შეიძლება სურდეს სხვა სამყაროდან მოსულ სტუმარს ადამიანის შესახებ და მათივე მიერ დახატული სურათებით შეეცადონ, აუხსნან უცხო პლანეტიდან მოსულ სტუმარს, თუ რას ნიშნავს, იყო ადამიანი. მოსწავლეები საკუთარ ნახატებსა და მოსაზრებებს პარტნიორი სკოლის წარმომადგენლებს უზიარებენ „TwinSpace“-ის საშუალებით და კლასში განიხილავენ სხვადასხვა მოსაზრებასა და ხედვას.

მონაწილეთა ასაკი: 4-7 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ხელგარჯილობის მასალა, ფერადი ფანქრები, კალმები, საღებავები, ფურცლები

“ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა”

ყოველი წლის 20 ნოემბერს ჩვენ აღვნიშნავთ ბავშვთა უფლებების საერთაშორისო დღეს. თითოეულ კლასში მოსწავლეები განიხილავენ ბავშვის უფლებების კონვენციას, არჩევენ მათგან 10 ყველაზე მნიშვნელოვან უფლებას და ადგენენ ჩამონათვალს. პარტნიორები შემდგომ ერთად განიხილავენ და ადგენენ ბავშვის უფლებების ახალ ჩამონათვალს, რომელშიც შესულია ბავშვის ის 10 უფლება, რომელიც, მოსწავლეთა შორის შეთანხმების შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვანია. შემდეგ თითოეული კლასი ამ ჩამონათვალიდან ირჩევს ერთ უფლებას და ამ კლასის მოსწავლეები ხატავენ ფურცელზე, ან, ონლაინინსტრუმენტების გამოყენებით, ქმნიან ნახატს, რომელიც ასახავს მათ მიერ შერჩეულ უფლებას. ნახატების გაზიარება ხდება „TwinSpace“-ის საშუალებით და პარტნიორები ბეჭდავენ ერომანეთის მიერ შესრულებულ ნახატებს. აქტივობის დასასრულს, მოსწავლეები ქმნიან ვიდეორგოლებს, სადაც ისინი ბავშვთა უფლებებს თავიანთ ენებზე წარმოთქვამენ. ბოლო ეტაპია ყველა ვიდეოს შეგროვება და ერთ ვიდეორგოლად შეკრება, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ იხილოთ და მოისმინოთ სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული ბავშვის უფლებები.

მონაწილეთა ასაკი: 4 -7 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** YouTube, ფურცლები, Colorillo

“ჩემი ცუგას უფლებები”

პარტნიორი კლასები იღებენ რბილ სათამაშო ძაღლებს და უგზავნიან ერთმანეთს. მასწავლებლები სთხოვენ მოსწავლეებს, დაარქვან ძაღლებს სახელები და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სჭირდებათ მათ იმისათვის, რომ იყვნენ ბედნიერი, ჯანმრთელი და უვნებელი და, ამავე დროს, დაასახელონ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი იმის უზრუნველყოფაზე, რომ ძაღლმა მიიღოს ყველაფერი ის, რაც მას სჭირდება. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები განსაზღვრავენ ძაღლის საჭიროებებს, მასწავლებელი სვამს კითხვას, ესადაგება თუ არა აღნიშნული საჭიროებები ძაღლის უფლებებს.

მას შემდეგ, რაც ბავშვები სათამაშო ძაღლზე ზრუნვაში რამდენიმე დღეს გაატარებენ, მასწავლებელი მათ სთხოვს, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სჭირდებათ ბავშვებს ბედნიერი, უსაფრთხო და ჯანმრთელი ცხოვრებისთვის და ვინ არის პასუხისმგებელი იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბავშვებმა მიიღონ ყველაფერი ის, რაც მათ სჭირდებათ. მოსწავლეები მსჯელობენ ბავშვთა უფლებებზე და საკუთარ მოსაზრებებს უზიარებენ პარტნიორი კლასის მოსწავლეებს. ამის შემდეგ, მოსწავლეები შეარჩევენ ერთ უფლებას და ქმნიან ხელოვნების რაიმე ნამუშევარს, რომელსაც შემდგომ ატვირთავენ „TwinSpace“-ზე, პროექტისათვის განკუთვნილ სივრცეში. ამის შემდეგ, პროექტის დასკვნით ნაწილში, თითოეულ სკოლას შეუძლია, გამართოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

მონაწილეთა ასაკი: 5-10 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ფურცლები და ფერადი ფანქრები, “Artsteps”

“ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია”

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან და განიხილავენ გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციას [6], ყველა პარტნიორი სკოლის მოსწავლეებს სთხოვენ, აირჩიონ ერთი უფლება, რომლის დეტალურად შესწავლაც და კვლევაც სურთ. მოსწავლეთა არჩევანის შესასბამისად, იქმნება 4-6 მოსწავლისგან შემდგარი შერეული ეროვნების ჯგუფები, რომელთაც ევალებათ შერჩეულ უფლებაზე მოკლე სატელევიზიო რეკლამის გაკეთება, რომელიც საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას და აცნობს კონკრეტულ უფლებას. რეკლამის შექმნა მოსწავლეთა ჯგუფებს შეუძლიათ სხვადასხვა მეთოდის

6 https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx

გამოყენებით, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: მოთხრობა, რომელსაც ისინი გაითამაშებენ, სიმღერა, რომელსაც ისინი ერთად შეასრულებენ, საკუთარი ნახატებით შედგენილი მულტიპლიკაციური ფილმი, ან ვიდეოზე ასახული ინტერვიუ ექსპერტთან. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეთანხმდებიან კონცეფციაზე, მათ შეუძლიათ, ინტერნეტსივრცეში მოაწყონ ონლაინშეხვედრა პარტნიორებთან, თავიანთი იდეების ერთმანეთთან გაზიარებისა და პარტნიორთა მოსაზრებების მოსმენისა და გათვალისწინების მიზნით. ონლიანშეხვედრის შემდეგ, ჯგუფებს შეუძლიათ, დაიწყონ მუშაობა რეკლამის შექმნაზე და, მას შემდეგ, რაც ისინი დაასრულებენ რეკლამაზე მუშაობას, მოსწავლეთა ნამუშევები შეიძლება განთავსდეს „TwinSpace"-ზე და შესაძლებელია ჩატარდეს კენჭისყრა ყველაზე პოპულარული რეკლამის გამოსავლენად.

პროექტის დასასრულს, შესაძლებელია ინტერნეტსივრცეში გაიმართოს შემაჯამებელი ონლაინშეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა: ვის სჭირდება განათლება ბავშვთა უფლებების შესახებ? რატომ არის მნიშვნელოვანი, ადამიანმა იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ? და რამდენად არის რეკლამები ამ მნიშვნელოვანი გზავნილის გაზიარების კარგი საშუალება?

მონაწილეთა ასაკი: 8-15 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია, PollEverywhere, Dotstorming

"ადამიანის უფლებების ჩამორთმევა"

მასწავლებლები საკუთარ მოსწავლეებს შემდეგი შინაარსის გამოგონილ ინფორმაციას აწვდის: *"ჟურნალისტმა დაწერა სტატია, რითაც ერთი ძალიან ცნობილი პოლიტიკური ფიგურა გაანაწყენა. მომდევნო დღეს ჟურნალისტის სახლში სამი პირი შეიჭრა, რომელმაც ჟურნალისტი ძალის გამოყენებით გამოიყვანა სახლიდან და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. ჟურნალისტის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არავისთვის არის ცნობილი და ოფიციალური უწყებები არაფერს აკეთებენ იმისთვის რომ მიაგნონ ჟურნალისტსა და მის გამტაცებლებს".* მოსწავლეები ეცნობიან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას[7] და ადგენენ, კონკრეტულად დეკლარაციის რომელი მუხლი იქნა დარღვეული. შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ შერეული ეროვნების გუნდებში და ადგენენ იუსტიციის მინისტრისთვის გასაგზავნ წერილს, უთითებენ რა, რომელი უფლებები იქნა დარღვეული და სთხოვენ კონკრეტული ღონისძიებების გატარებას. ან მოსწავლეთა გუნდები წერენ საგაზეთო სტატიას, რომელშიც აღწერილი იქნება მომხდარი ფაქტი და მითითებული იქნება, თუ ადამიანის რომელი უფლებების დარღვევას ჰქონდა ადგილი. მოსწავლეებს მოეთხოვებათ, შეარჩიონ და გამოიყენონ საჭირო სტილი და ტონი, იმის გათვალისწინებით, თუ ვისთვის არის განკუთვნილი მათ მიერ შედგენილი წერილი თუ სტატია.

მონაწილეთა ასაკი: 10 -14 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** MeetingWords

"ადამიანის უფლებების გამოცნობა"

პარტნიორები ეცნობიან, თუ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები, კითხულობენ რა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას. პარტნიორები ირჩევენ მათთვის ხელსაყრელ დროს Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენციის გასამართად და გამოცნობაზე თამაშში მონაწილეობისათვის. თითოეული პარტნიორი კლასიდან ერთ მოსწავლეს გადაეცემა ბარათი, რომელზეც ადამიანის ერთი უფლება წერია, რომელიც მან საკუთარი ნახატით უნდა ახსნას, ხოლო პარტნიორი კლასის მოსწავლეები უნდა შეეცადონ, გამოიცნონ, რომელი უფლების ილუსტრაციას აკეთებს მოსწავლე. თუ ისინი სწორად გამოიცნობენ, მოიპოვებენ ქულას. მეორე რაუნდში მეორე

7 https://www.un.org/en/universal-declaration-human-rights/index.html

პარტნიორი კლასის მოსწავლე აკეთებს მისთვის მიცემული უფლების ილუსტრაციას და პირველი პარტნიორი კლასის მოსწავლეები ცდილობენ, ნახატის მიხედვით გამოიცნონ ადამიანის უფლება. კლასები მორიგეობით იცნობენ უფლებებს, ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, შეასრულოს ადამიანის უფლების ილუსტრაცია. გამარჯვებულია გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს. ამ აქტივობის შესრულებისას, მოქმედებს წესი, მოსწავლეებს შეუძლიათ მხოლოდ დახატონ ფიგურები, მათ არ უნდა გამოიყენონ ციფრები ან სიტყვები და, ასევე, ეკრძალებათ რაიმეს თქმა.

მონაწილეთა ასაკი: 10-15 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ფურცლები, სანერკალმები, ფანქრები, ფერადი ფანქრები, Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია

"შენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც ჩემი უფლებები იწყება"

თითოეული პარტნიორი აწყობს ცალკე შეხვედრას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები განიხილავენ სიტყვის თავისუფლებისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების მნიშვნელობას. მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები და ამ უფლებებთან დაკავშირებული თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება.

მასწავლებელი ხსნის „TwinBoard"-ს და სთხოვს ყველა პარტნიორი სკოლის მოსწავლეებს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით:

- სად მთავრდება ინდივიდუალური პირის უფლებები და იწყება ადამიანთა ჯგუფის უფლებები?
- შესაძლებელია მათ შორის არსებული ზღვარი შეიცვალოს?
- რა შემთხვევაში ხდება ამ ზღვარის შეცვლა?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ ერთობლივი ლექსები, პიესები ან მოთხრობები, ადამიანის უფლებათა საკითხთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ, რომლებიც მათ ან მათ მეგობრებსა ან ოჯახის წევრებს გადახდომიათ თავს. მოსწავლეებს შეუძლიათ, იმუშაონ შერეული ეროვნების ჯგუფებში და მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებებით შესაძლებელია შედგეს ელექტრონული წიგნი „eBook".

მონაწილეთა ასაკი: 12 -18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** TwinBoard, MeetingWords, Issuu, Calameo

"ადამიანის უფლებები და გადაწყვეტილების მიღება"

მასწავლებელი ვირტუალურ დაფაზე - „Padlet"-ზე სამ სვეტს გამოყოფს: 1. ყოველთვის, 2. უმეტეს შემთხვევაში, 3. იშვიათად და 4-6 მოსწავლისგან შემდგარ შერეული ეროვნების ჯგუფებს ურიგებს მის მიერ შედგენილ წინადადებებს, რომლებიც ამ ჯგუფებმა უნდა დაახარისხონ და საკუთარი პასუხები გადაანაწილონ აღნიშნულ სამ სვეტში. მოსწავლეებმა მათთვის დარიგებული წინადადებები უნდა განიხილონ ჯგუფებში, „TwinSpace"-ის ჩატის გამოყენებით და თითოეული წინადადების შემთხვევაში შეთანხმდნენ ერთ პასუხზე. მოსწავლეთა ჯგუფებმა თავიანთი პასუხები უნდა დაიტანონ ვირტუალურ დაფაზე - „Padlet"-ზე ისე, რომ სხვა ჯგუფების მიერ გაცემული პასუხები მათთვის დამალული უნდა იყოს.

ერთი კვირის შემდეგ, ყველა მონაწილე კლასი ერთად იკრიბება ინტერნეტსივრცეში და ონლაინშეხვედრის ფარგლებში მოსწავლეები ერთად მსჯელობენ ჯგუფების მიერ გაცემულ სხვადასხვა პასუხზე. მათი დისკუსია და დებატები გრძელდება მანამ, სანამ ყველა ჯგუფი ერთ პასუხზე არ შეთანხმდება. შეთანხმების მიღწევის მიზნით, მოსწავლეებს შეუძლიათ, თავიანთ ენაზე თარგმნონ მათთვის მიცემული წინადადებები.

მონაწილეთა ასაკი: 15-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ჩატი, Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია

3. კრიტიკულად მოაზროვნე პირები უსაფრთხო სკოლაში

3.1 მედიაწიგნიერება: კრიტიკულად აზროვნების უნარის გამომუშავება სტერეოტიპებისა და ცრურწმენების მიმართ

კარენ პოლაკი
„ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს“ საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტთა ნაკრები, „ანა ფრანკის სახლი“ [„Anne Frank House“], ამსტერდამი

2016 წელს, განათლებისა და პროფესიული მომზადების სოციალურ განზომილებაზე მომუშავე ექსპერტთა ქსელმა გამოაქვეყნა ანგარიში ევროპის წინაშე მდგარი და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების ზრდასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ. ძირითადი დასკვნა იყო ის, რომ სკოლის სასწავლო პროგრამები უნდა ასახავდეს მეტ მრავალფეროვნებას და უნდა იყოს უფრო ინკლუზიური. ანგარიშში თანატოლთა განათლება აღიარებულ იქნა, როგორც ინკლუზიური საკლასო გარემოს შექმნის ერთ-ერთი, შედარებით ახალი და ეფექტური მეთოდი. ინკლუზიური საკლასო გარემოს ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ახალგაზრდების ჩართვა, რათა ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებებში მიმდინარე მოვლენებში და, როგორც მოქალაქეებმა, თავიანთი წვლილი შეიტანონ დემოკრატიის შენებასა თუ შენარჩუნებაში. ხოლო ყოველივე ამას საფუძვლად უნდა დაედოს ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება[8]. ის, რაც ახალგაზრდებს ესაჭიროებათ, პირველ რიგში, არის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის განსაზღვრა, საკუთარი არჩევანისა და ამ არჩევანის სხვებზე ზემოქმედების გააზრება. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას საფუძველს უყრის პედაგოგი, რომელსაც <u>არ</u> სურს თავის მოსწავლეებს მიაწოდოს მზა პასუხი რთულ კითხვებზე, რომლებიც უკავშირდება მრავალფეროვნებასა და დისკრიმინაციას.

არ არსებობს მარტივი ან „სწორი“ პასუხი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ მოსწავლეებს. მათ თავად უნდა აღმოაჩინონ, თუ რატომ გააჩნიათ ადამიანებს განსხვავებული მოსაზრებები და განწყობები იდენტობასთან და მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, და რატომ არის მათი რეაგირება დისკრიმინაციის გამოვლინებებზე განსხვავებული. კარგად ორგანიზებული დისკუსია, დადასტურებულია, რომ უბიძგებს მოსწავლეებს, ჩაერთონ საკითხის განხილვაში და გააკეთონ საკუთარი დასკვნები, თუმცა ძალიან ბევრი მასწავლებელი არ არის სათანადოდ მომზადებული სენსიტიურ და რთულ საკითხებზე დისკუსიების წარმართვისათვის.

მონიკ ეკმანს, რომელიც არის ჟენევაში არსებული დასავლეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის სოციალურ მუშაკთა სკოლის ემერიტუს პროფესორი, ბევრი ნაშრომი აქვს მიძღვნილი დისკრიმინაციის მიმართ ინდივიდის სოციალური პოზიციის გაცნობიერების მნიშვნელობისადმი. სწორედ მისი ნაშრომები იქცა ჩვენი შთაგონების წყაროდ, გვემუშავა ამ საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინიციატივაზე, რისი შედეგიც არის პროექტი “ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს”.

8 იგივე ნათქვამი ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში (“რეკომენდაცია საერთო ღირებულებების... ხელშეწყობის თაობაზე.”, 22 მაისი 2018 წ.), რომელიც განკუთვნილია წევრი ქვეყნებისათვის: საჭიროა კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებასა და მედიაწიგნიერების ხელშეწყობაზე ზრუნვა (...), ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით და ახალგაზრდების დახმარების მიზნით, რათა მათ შეძლონ საკუთარი შემოქმედებითი აზროვნების მიზნობრივად გამოყენება.

ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს

ინიციატივა "ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს[9]" შექმნა ემსახურებოდა უსაფრთხო სივრცის უზრუნველყოფას, როგორც ონლაინ, ასევე, ოფლაინ რეჟიმში, ისეთ სენსიტიურ და რთულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა დისკრიმინაცია, გარიყულობა და მრავალფეროვნება.

"ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს", როგორც ინტერნეტინსტრუმენტი, შეიქმნა „ანა ფრანკის სახლის" მიერ, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან (ODIHR) თანამშრომლობით, ანტისემიტიზმისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების შესახებ შექმნილი ბეჭდური სასწავლო მასალის საფუძველზე[10]. 2007-2017 წლებში პროექტი გაფართოვდა და მასში ჩაერთო 15 ქვეყანა, რომელთაგანაც თითოეულმა შექმნა პროექტთან დაკავშირებული მასალის საკუთარი ეროვნული ვერსია, რომელსაც საერთო საფუძვლები და მიზნები აერთიანებს, თუმცა რომელთა შინაარსიც მორგებულია კონკრეტული ქვეყნის კონტექსტზე. აღნიშნული მასალები აგებულია ახალგაზრდების მოსაზრებებსა და ხედვებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ საკუთარი იდენტობისა და გამოცდილების შესახებ და ერთმანეთთან აკავშირებს წარსულსა და აწმყოს და აიძულებს ახალგაზრდებს, დაფიქრდნენ თანმიმდევრულობაზე. აღნიშნულ მასალებს დაემატა დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს, გააცნობიერონ მათ მიერ გაკეთებული არჩევანი დისკრიმინაციის ფაქტებზე.

სტერეოტიპებთან გამკლავება: მედიის როლი

პროექტის "ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს - ინსტრუმენტები დისკრიმინაციის წინააღმდეგ" შემუშავებაში ჩართული იყო ცხრა ორგანიზაცია ევროპის შვიდი ქვეყნიდან. მათ შეიმუშავეს მრავალენოვანი ინტერნეტინსტრუმენტი, რომელიც ხუთი მოდულისაგან შედგება და გულისხმობს მოსწავლეების ჩართვას მთელ რიგ აქტივობებში. ზოგადად, პროექტის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის *სააზროვნო* მასალის მიწოდება – რომ მათ თანაუგრძნონ სხვებს, რათა მათ გარშემო არსებულ სამყაროს სხვა თვალით შეხედონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ უკეთესობისაკენ ცვლილებაში; პროექტი, ასევე, ითვალისწინებს მასწავლებლებისთვის განკუთვნილ რჩევებსა და რეკომენდაციებს.

ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა (რომელშიც სხვებთან ერთად წარმოდგენილი არიან ისტორიისა და ენის მასწავლებლები, ადამიანის უფლებათა პედაგოგები და სოციალური ფსიქოლოგები) მალევე დაადგინა, რომ არსებობს მრავალი საკვანძო თემა, რომელზეც პროექტის გუნდი ვერ შეთანხმდებოდა - ჩვენს საზოგადოებებში და სკოლებში არსებული განსხვავებული სიტუაციების გამო. განსხვავებულ მოსაზრებებთან გამკლავება გახდა „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს" პროექტის განუყოფელი ნაწილი.

9 „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს" წარმოადგენს, „Erasmus+"-სა და „ხსოვნა, პასუხისმგებლობა და მომავალი" (EVZ) ფონდის მხარდაჭერით, „ანა ფრანკის სახლისა" და რვა პარტნიორი ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ საერთაშორისო პროექტს, რომელიც განკუთვნილია 14 წლის და 14 წელზე მეტი ასაკის ახალგაზრდებისათვის. იგი უფასოდ არის ხელმისაწვდომი ინგლისურ, გერმანულ, უნგრულ, სლოვაკურ, პოლონურ, უკრაინულ და ჰოლანდიურ ენებზე.

10 სხვადასხვა ენაზე არსებული ელექტრონული რესურსები იხილეთ შემდეგ მისამართზე: http://tandis.odihr.pl/

ინტერნეტინსტრუმენტში საუბარია იმაზე, თუ როგორ იყენებს მედია სტერეოტიპებს, როგორ ხდება ცრურწმენების დამკვიდრება და რა გავლენას ახდენს ეს ყოველივე იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროს.

ნაწილი, რომელიც *მედიაწიგნიერებას* ეძღვნება, იწყება მოსწავლეებისათვის დასმული კითხვით, რომელიც აიძულებს მათ, გაიაზრონ, თუ როგორ მოიხმარენ ისინი მედიას:

ჩვენ ყოველ დღე ვაკეთებთ არჩევანს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მედიას „მოვუსმინოთ", რაც გავლენას ახდენს ჩვენ გარშემო არსებული სამყაროს ჩვენეულ აღქმაზე. მაგრამ ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ჩვენ თავს ვერ ვაღწევთ ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადს. მოდით, განვიხილოთ ჩვენ მიერ შედგენილი წინადადებები. როგორ არის შესაძლებელი გზავნილების გაფილტვრა და როგორ უნდა მივუდგეთ ამ გზავნილებს კრიტიკულად?

მოსწავლეებს ევალებათ, შეაფასონ, თუ რამდენად სანდოა ესა თუ ის საინფორმაციო წყარო და ისინი ხანდახან და მოულოდნელად კრიტიკულად ახერხებენ ამას. თუმცა, შესაძლებელია, მათთვის არ იყოს მარტივი საკუთარი მოსაზრების, საკუთარ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების ხმამაღლა გაჟღერება, ან საკუთარი მოსაზრების გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც დისკრიმინაციის ფაქტის მონაწილე ან თვითმხილველი ვხდებით. „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს" ქმნის უსაფრთხო სივრცეს, რომელიც საჭიროა მოსაზრებების გაზიარებისათვის, როგორც ონლაინ, ასევე, ოფლაინ რეჟიმში.



რეკლამა მე-19 საუკუნე

მედიისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ გაკვეთილზე მოსწავლეებს ევალებათ იმ რეკლამების შესწავლა, რომლებიც შეიცავს სექსისტურ, ანტისემიტურ, რასისტულ, ბოშების და ლგბტ+ თემის[11] წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებს. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ზოგიერთი ამგვარი გზავნილი შეიძლება მტკივნეული იყოს, მაგრამ, ასევე, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მოსაზრებები შეიძლება განსხვავდებოდეს. მოსწავლეები ებმებიან „თვალსაჩინო აზროვნების" აქტივობებში. აღნიშნული მეთოდი ეხმარება მათ ტემპის შენელებაში, უფრო მეტის გაგებასა და საკუთარი სწავლის პროცესის გააზრებაში.

მე-19 საუკუნის დროინდელი საპნის რეკლამის შემთხვევაში, რომელიც რასისტულ ელემენტს მოიცავს, „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს" სვამს კითხვას:

- რა სტერეოტიპია ჩართული რეკლამაში?
- როგორ არის წარმოდგენილი ეს სტერეოტიპი?
- რატომ იყენებენ რეკლამის მწარმოებლები სტერეოტიპებს?

ისტორიულ რეკლამებზე მუშაობა თვალნათლივ აჩვენებს სოციალურ ცვლილებას, თუმცა, შესაძლებელია, მოსწავლეები, ასევე, დარწმუნდნენ, რომ ეს ცვლილებები არც თუ ისე მასშტაბურია, როგორც მათ წარმოედგინათ.

წყარო: www.storiesthatmove.org:

11 სექსუალური და გენდერული უმცირესობების ჯგუფები

სტერეოტიპები - ფართოდ გავრცელებული და ზედმეტად განზოგადებული რწმენა ხალხის გარკვეული კატეგორიის შესახებ. სტერეოტიპები შესაძლებელია იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური. სტერეოტიპები წარმოადგენს ადამიანებს შორის არსებული სხვაობების გაზვიადების პროდუქტს, ან მათი ერთმანეთთან ზედმეტი მსგავსების ხაზგასმით, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, ან მხოლოდ განსხვავებებზე ყურადღების გამახვილებით.

ცრურწმენები - წინასწარ შექმნილი აზრი, რომელიც ემყარება ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური წარმომავლობა ან რელიგიური კუთვნილება. ცრურწმენები არ ემყარება მსჯელობას ან ფაქტობრივ გამოცდილებას; ცრურწმენები, როგორც წესი, უარყოფითია და ხშირად გამოიყენება დისკრიმინაციის გასამართლებლად. სტერეოტიპებისაგან განსხვავებით, ცრურწმენებს ემოციური დატვირთვა ახასიათებს. ადამიანებს ხშირად აქვთ გაუცნობიერებელი ცრურწმენები, რომელთა დაძლევაც არ არის მარტივი.

3.2 „eTwinning"-ის გამორჩეული პროექტები

მოქალქეობის საკითხებზე მომუშავე ევროპული სამუშაო ჯგუფი[12] აღნიშნავს, რომ დემოკრატიული და ინკლუზიური სკოლის კულტურა, რომელიც აფასებს მრავალფეროვნებას და აქტიურად უზრუნველყოფს უსაფრთხო ადგილს საკამათო საკითხებზე დიალოგისა და მსჯელობისთვის, აუცილებელია სოციალურ-ემოციური სწავლის, ინტელექტუალური განვითარებისა და სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების შეძენისთვის.

ამ ფონზე, უნდა აღინიშნოს, რომ „eTwinning"-ის საზოგადოება განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კიბერუსაფრთხოება, სკოლებში ძალადობა (ბულინგი), სიძულვილის ენა და ყალბი ახალი ამბები. პლატფორმის ფარგლებში წარმოებული მრავალი პროექტი ეხება სწორედ ამ თემებს, ღრმა აზროვნების წახალისებით და მოსწავლეების შესაძლებლობებით აღჭურვით, რათა მათ შეძლონ საკუთარი მოსაზრებების გაზიარება და გააზრება ინკლუზიურ საკლასო გარემოში. კერძოდ, კიბერუსაფრთხოება ჩართულია პროექტების უმრავლესობაში, როგორც საწყისი აქტივობა, რომლის დროსაც მოსწავლეები ეცნობიან პროექტთან დაკავშირებულ ციფრულ ეტიკეტს და ხშირად სწორედ მოსწავლეები არიან ის პირები, რომლებიც ქმნიან ინტერნეტსივრცეში ონლაინქცევის წესებს თავიანთი პროექტისთვის.

ქვევით, მაგალითისთვის, მოცემულია პროექტები, რომლებიც აღნიშნულ საკითხებს ეხება:

"იზრუნე ჩემზე - იზრუნე საკუთარ თავზე"

მონაწილეთა ასაკი:
10 – 15 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, უკრაინა

12 სამუშაო ჯგუფი - ET2020, რომელიც მუშაობს შემდეგ საკითხებზე: 2016-2018 წლებში, განათლების გზით მოქალაქეობისა და ისეთი ძირითადი ღირებულებების ხელშეწყობა, როგორებიცაა თავისუფლება, ტოლერანტობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, „პოლიტიკის ჩარჩოს ელემენტები"

როგორც შესავლიდან შევიტყვეთ, მოსწავლეებისათვის შესაძლებლობების შექმნა, რათა მათ გააცნობიერონ მრავალფეროვნება, შეძლონ, ისწავლონ რაიმე საკუთარი თანატოლებისაგან და განიხილონ ისეთი სენსიტიური საკითხები, როგორიცაა მაგალითად, სკოლებში ძალადობა (ბულინგი), ინკლუზიური საკლასო გარემოს უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. პროექტი -"იზრუნე ჩემზე - იზრუნე საკუთარ თავზე" სწორედ ამ შესაძლებლობას სთავაზობს მოსწავლეებს. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეებს ჰქონდათ პოზიტიური ქცევის პოპულარიზაციის შესაძლებლობა, სკოლებში ძალადობის (ბულინგის) წინააღმდეგ მიმართული აქტივობების საშუალებით, გასცნობოდნენ სხვა კულტურებს, ენებსა და ტრადიციებს. შერეული ეროვნების ჯგუფებში მუშაობისას, მოსწავლეებმა შექმნეს ორი ეკო ხე, პოზიტიური ქცევის წესებით, რომლებიც სკოლის ყველა მოსწავლეს უნდა დაეცვა. პროექტის ფარგლებში ორგანიზებული სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების დროს, ვიდეოკონფერენციების, წერილობითი კომუნიკაციისა და პლაკატების გაცვლა-გამოცვლის დროს, ასევე, ინგლისურენოვან საზაფხულო ბანაკში, ყურადღება გამახვილებული იყო სკოლებში ძალადობის (ბულინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებზე, ამასთან, მოსწავლეებში კულტურული ტოლერანტობისა და ენობრივი უნარების განვითარებაზე. მოსწავლეებმა, ასევე, შექმნეს სკოლებში ძალადობის (ბულინგის) წინააღმდეგ მიმართული კომიქსები და ვიდეორგოლები, სკოლებში ძალადობის (ბულინგის) ემოციური ზემოქმედების დემონსტრირების მიზნით. საზაფხულო ბანაკი შესანიშნავი შესაძლებლობა იყო, მოსწავლეთა შეკრებისა და შერეულ ჯგუფებში მუშაობის თვალსაზრისით. მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ემუშავათ ენობრივი ცოდნის სხვადასხვა დონის მქონე მოსწავლეებთან, ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, ბევრი რამ ესწავლათ ერთმანეთისგან და პრაქტიკულად გამოეყენებინათ დემოკრატიის პრინციპები. პროექტის სხვადასხვა ეტაპზე, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ გადაწყვეტილებები იმ მასალასთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი პროექტის საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად გამოიყენებდნენ.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/23318

"მედიაწიგნიერება: პასიური მომხმარებლიდან აქტიურ შემოქმედამდე"

Media Education

From passive consumers to active creators

მონაწილეთა ასაკი:
12 – 20 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი

როგორც პროექტის „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს - ინსტრუმენტები დისკრიმინაციის წინააღმდეგ" გახორციელებისას ჩვენთვის გახდა ნათელი, მედიის მოხმარების კვლევა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შევაფასოთ ჩვენ მიერ გამოყენებული საინფორმაციო წყაროების სანდოობა, იქნება ეს სოციალური მედია, ფილმები, საინფორმაციო არხები, სიმღერები და ა.შ. საინფორმაციო წყაროების შეფასებით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ შემოქმედებითი აზროვნების უნარი

და გააანალიზონ რთული თემები, ჩაერთონ დისკუსიაში და გააცნობიერონ როგორც საკუთარი იდენტობა, ასევე, ღირებულებებისა და რწმენის სისტემები, რომლებსაც ისინი ფლობენ. პროექტის ინიციატორი გახლდათ სკოტ ჯეისონი, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „The Orion“– ის მმართველი რედაქტორი, რომელიც ამტკიცებს, რომ დემოკრატიას, რომელსაც არ ჰყავს სათანადოდ ინფორმირებული საზოგადოება, განადგურება ემუქრება, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წიგნიერებასა და დემოკრატიას შორის დინამიური ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. პროექტში, რომელიც მედიაგანათლებას ემსახურებოდა, მონაწილეობდა ხუთი კლასი და სწავლების მეთოდის სახით, ძირითადად, გამოყენებულ იქნა პრაქტიკული მიდგომა, როგორც სწავლების ძირითადი მეთოდი. მოსწავლეებმა ისწავლეს მედიის წარმოების მარტივი ტექნოლოგიებითა და ტექნიკით სარგებლობა, ისეთი მედიაპროდუქტების შექმნის საშუალებით, როგორებიცაა ვიდეოები, ერთობლივი გაზეთი, ვებგვერდი და ანტირეკლამები სამ ძირითად თემაზე: გენდერული სტერეოტიპები, ჯანმრთელობა და ცხოვრების წესი და გლობალური საკითხები. მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი განსხვავებული შეხედულებები მედიარესურსების გამოყენების თაობაზე და ერთმანეთს შეადარეს სხვადასხვა ქვეყანაში ამ რესურსების გამოყენების პრაქტიკა; ისწავლეს კრიტიკულად აზროვნება და ის, თუ როგორ უნდა იქცნენ აქტიურ, მოაზროვნე და სწორი რეაგირების მქონე მოქალაქეებად, ნაცვლად იმისა, რომ დარჩნენ პასიურ მომხმარებლებად, რომლებიც მარტივად იქცევიან მანიპულირების ობიექტებად. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეებმა შექმნეს პლაკატები, ვიდეორგოლები, მულტიპლიკაციური ფილმები, სარეკლამო რგოლები, წიგნების ყდები, თამაშები, სარეკლამო ბროშურები, რომლებიც მოცემული საკითხის შესახებ ცნობადობის ამაღლებას ემსახურებოდა. მასწავლებლებმა, ასევე, შექმნეს გაკვეთილის გეგმების, პრეზენტაციებისა და დამხმარე მასალების კრებული, პრაქტიკული მიდგომის საშუალებით განხორციელებული მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების სწავლების მიზნით.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/940

“იყავი მეგობარი, არა მოძალადე”

მონაწილეთა ასაკი:
13 – 15 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი

როგორც პროექტის „ისტორიები, რომლებიც დაგვაფიქრებს” განხორციელებისას, ჩვენთვის გახდა ნათელი, კარგად ორგანიზებული დისკუსია უბიძგებს მოსწავლეებს, ჩაერთონ საკითხის განხილვაში და გააკეთონ თავიანთი დასკვნები, რაც, თავის მხრივ, ეხმარება ახალგაზრდებს, ხმამაღლა ისაუბრონ საკუთარი იდენტობისა და გამოცდილების შესახებ. დამატებით, კვლევა იმისა, თუ როგორ ხდება სენსიტიური თემების წარმოჩენა სხვადასხვა მედიაში, საინტერესოა და მოსწავლეებს ეხმარება ინფორმაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კონტენტის შექმნაში. პროექტის - “იყავი მეგობარი, არა მოძალადე” ფარგლებში, მოსწავლეებმა გააანალიზეს ისეთი

თემები, როგორებიცაა სიძულვილის ენა, ფიზიკური ძალადობა და კიბერბულინგი, სხვადასხვა მედიასაშუალების შესწავლის საფუძველზე. მოსწავლეები ერთობლივად იკვლევდნენ ბულინგის პრობლემას, მის გამომწვევ მიზეზებს, ტიპებსა და განმარტებებს და, ასევე, იმას, თუ როგორ არის წარმოდგენილი იგი სიმღერებში, ფილმებში და მედიაში. შემდეგ მოსწავლეებმა აწარმოეს ბულინგის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომელიც ემსახურებოდა თანატოლთა შორის ძალადობის პრობლემის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. კამპანიის ავტორები იყვნენ საერთაშორისო ჯგუფები, რომლებმაც შექმნეს სცენარები და ახალი მედიაარხი - კომიქსების სერია, რომლებიც ბულინგის სხვადასხვა ასპექტს ასახავს. სკოლის მასშტაბით, აღნიშნული თემის მიმართ ცნობადობის ამაღლების მიზნით, მოსწავლეებმა მოამზადეს პლაკატები, რომლებშიც ისინი გმობდნენ ბულინგს და რომლებიც მასალის სახით გამოყენებული იქნა პროექტის ლოგოს შერჩევისათვის გამართულ კონკურსში. მოსწავლეებმა მოიწვიეს ადგილობრივი საზოგადოებების წარმომადგენლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქუჩების მოხატვაში ნებისმიერი ფორმის ძალადობის აღკვეთისაკენ მოწოდებებით.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/46541

"არა ძალადობას ქალების მიმართ"

მონაწილეთა ასაკი:
14 – 19 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, თურქეთი

კარენ პოლაკი საუბრობს მოსწავლეებისათვის შესაძლებლობების შექმნის მნიშვნელობაზე, რათა მათ თავად გამოიკვლიონ რთული საკითხები და თემები, თავად გაარკვიონ, თუ რა ადგილი უკავიათ მათ საზოგადოებაში, გააანალიზონ მათ მიერვე გაკეთებული არჩევანი და ის, თუ როგორ ზემოქმედებს ეს არჩევანი სხვებზე და რა შედეგები მოაქვს მათ სხვებისთვის. პროექტის თემას წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებები: ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების უფლება, უფლება, პატივისცემით მოეპყრონ მას და ფიზიკური და სულიერი სიმრთელის შენარჩუნების უფლება. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეებმა შეისწავლეს ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკა და მისი გამოვლინების გზები, მათ შორის, თუ როგორ ხდება დეზინფორმაციის, განსაკუთრებით, სოციალურ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციის გამოყენება ქალებისა და ფემინიზმის წინააღმდეგ და, ზოგადად, ადამიანის უფლებების წინააღმდეგ. მოსწავლეები განიხილავდნენ სამართლებრივ ასპექტებს, ეროვნული კონსტიტუციებისა და ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ქარტიის გაცნობისას, და მსჯელობდნენ ისეთ ღირებულებებზე, როგორებიცაა თანასწორობა, ღირსება და დემოკრატიული მონაწილეობა განურჩევლად სქესისა.

პროექტის განმავლობაში, მოსწავლეები ეცნობოდნენ და აცნობიერებდნენ ისეთ თემებს, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები, აწარმოებდნენ კამპანიებს ცნობადობის ამაღლების მიზნით და აქვეყნებდნენ სტატიებს ერთობლივ ინტერნეტჟურნალში. კამპანიის დროს, მოსწავლეები იყენებდნენ „Powtoon"-ის საშუალებით შექმნილ ვიდეოებს, ნახატებს, პრეზენტაციებსა და იმ ქალების ისტორიებზე აგებულ კომპიუტერულ თამაშებს, რომლებმაც შეძლეს თავისუფლების მოპოვება და მოძალადე აგრესორების მხილება. ინტერნეტჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები მოიცავდა ინფორმაციას „როგორც თანამედროვე, ასევე, ისტორიიდან ცნობილი სანიმუშო ქალების შესახებ, მათ ამაღლებელ ისტორიებსა და მათ მიერ წარმოთქმულ დაუვიწყარ სიტყვებს". ინტერნეტჟურნალს მოსწავლეები აწარმოებდნენ ერთობლივად, Padlet– ის გამოყენებით, სადაც ისინი აზიარებდნენ სტატიებსა და კომენტარებს და მათ, ასევე, ჰქონდათ საუკეთესო სტატიებისთვის ხმის მიცემის საშუალება.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/52985

3.3 „eTwinning"-ის ფარგლებში რეკომენდებული აქტივობები

სკოლა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლეების ცხოვრებაში და მან უნდა უზრუნველყოს გარემო, სადაც მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ, თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს და სადაც მათ პატივისცემით მოეპყრობიან. მასწავლებლების ვალდებულებაში შედის თავიანთი მოსწავლეების წახალისება, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებაში და, აგრეთვე, უზრუნველყოფა იმისა, რომ მიღწეული იქნეს შეთანხმება საერთო წესების შესახებ. მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და მისი მიღწევა უფრო მარტივია, როდესაც მოსწავლეები საუბრობენ და ურთიერთობენ ერთმანეთთან. პრობლემების გადაჭრაზე ერთობლივი მუშაობით, ერთმანეთისთვის საკუთარი აზრების გაზიარებითა და თემებზე საუბრით, მოსწავლეებს აზრების ერთმანეთთან დაკავშირების, მსჯელობაში დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობების აღმოჩენისა და არგუმენტების შეფასების საშუალება ეძლევათ. ქვემოთ მოცემულია იმ აქტივობების მაგალითები, რომლებიც დაგეხმარებათ, ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებთან მუშაობისას, მათი კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში.

"ჩვენმა სიტყვებმა და ქცევამ შესაძლოა სხვას გული ატკინოს"

თითოეული კლასი დიდი ფორმატის ფურცლიდან ჭრის გულის ფორმის ფიგურას, რომელსაც ისინი „Online Meetings"-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენციის მსვლელობისას იყენებენ. თითოეული კლასის მოსწავლეები პარტნიორი კლასების მოსწავლეებს უზიარებენ იმ სიტყვებისა თუ ქცევების მაგალითებს, რომლებიც ადამიანებს გულს სტკენს. თითოეული მაგალითის გაზიარების შემდეგ, მოსწავლეები გადაკეცავენ ქაღალდის გულს. ამის შემდეგ, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ იმ სიტყვებისა და ქცევების მაგალითებს, რომლებიც ადამიანებს ამხნევებს და თავს კარგად აგრძნობინებს. ყოველი ამგვარი მაგალითის წარმოთქმის შემდეგ, მოსწავლეები გაშლიან თითო ნაკეცს ქაღალდის გულზე. თუ მონაწილე მოსწავლეები მცირე ასაკის არიან, პარტნიორი კლასის მასწავლებელი თავის მოსწავლეებს საკუთარ ენაზე უთარგმნის მოსწავლეების მიერ გაზიარებულ მაგალითებს.

მას შემდეგ, რაც ყველა კლასი ამოწურავს საკუთარ მაგალითებს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეამოწმონ, როგორ გამოიყურება მათი ქაღალდის გული. მოსწავლეები

აცნობიერებენ, რომ გულსატკენი სიტყვები და ქცევები თვალსაჩინო ნაიარევს ტოვებს ადამიანებზე.

ინტერნეტშეხვედრის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთს გაუზიარონ სიკეთის მაგალითები, რათა მათმა თანატოლებმა თავი კარგად იგრძნონ.

მონაწილეთა ასაკი: 5 – 8 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია, ფურცლები

"ბულინგის მაგალითების ტიპებად დახარისხება"

მასწავლებლები და მოსწავლეები მსჯელობენ ბულინგის სხვადასხვა ფორმაზე, როგორიცაა ფიზიკური, ვერბალური და სოციალური ბულინგი და თითოეული ტიპისათვის მოჰყავთ მაგალითები. მასწავლებელი აგროვებს სკოლებში ბულინგის მაგალითებს ყველა პარტნიორისგან და ადგენს თამაშს, რომლის დროსაც მოსწავლეებმა კონკრეტული მაგალითი უნდა დააკავშირონ ბულინგის შესაბამის ტიპთან; მაგ. ვინმეს რეგულარულად ცემა ან ვინმეს წინააღმდეგ მუშტის გამოყენება არის ფიზიკური ბულინგი, ხოლო ვინმეს დაცინვა, მაგალითად, იმის გამო, რომ იგი სპორტულ აქტივობებს ცუდად ასრულებს - ვერბალური ბულინგი. მოსწავლეები ერთვებიან თამაშში და ეცნობიან მათი პარტნიორი კლასის მოსწავლეების მიერ დამატებული ქცევის მაგალითებს. ინტერნეტშეხვედრის დროს, მოსწავლეებს შეუძლიათ, იმსჯელონ იმ ღონისძიებებსა თუ ზომებზე, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს, როდესაც ისინი ბულინგის შემთხვევების თვითმხილველები ხდებიან.

თამაში შესაძლებელია გაიმართოს სკოლის ფარგლებში არსებულ კლასებს შორის, რაც აღნიშნული პრობლემის შესახებ ცნობადობის ამაღლებას ემსახურება.

მონაწილეთა ასაკი: 8 - 15 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ClassTools.net, Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია

"შენმა სიტყვებმა შეიძლება გული მატკინოს"

მასწავლებელი „Padlet"-ზე გამოყოფს ორ სვეტს და სთხოვს ყველა მოსწავლეს, დაწერონ ის გულსატკენი გამონათქვამები, რომლებიც მათ სკოლაში სმენიათ. მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ ეს გამონათქვამები თუ კომენტარები „გამაღიზიანებელი ან სახუმაროა" თუ „ძალიან გულსატკენი" და მოათავსონ შესაბამის სვეტში. მას შემდეგ, რაც ყველა პარტნიორი დაასრულებს შესაბამის სვეტებში გამონათქვამების ჩამოწერას, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს კლასში მსჯელობის მოწყობას და იმის შემოწმებას, აღმოჩნდება თუ არა ერთი და იგივე გამონათქვამი ორივე სვეტში. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამ გამონათქვამების დახარისხებას კატეგორიების მიხედვით; ანუ რომელი მათგანი ეხება გარეგნობას, რომელი შესაძლებლობას, რომელი სექსუალობას, ეთნიკურ წარმომავლობასა და ა.შ. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაასრულებენ გამონათქვამებზე მუშაობას, ისინი იწყებენ შერეული ეროვნების ჯგუფებში მუშაობას, რა დროსაც ჯგუფის წევრები უნდა შეთანხმდნენ გზებზე, რომლებიც სკოლაში სიძულვილის ენის გამოყენებას აღკვეთავს. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ შემოქმედებითი უნარი და საკუთარი მოსაზრებები უნდა წარმოადგინონ პლაკატის, ვიდეორგოლის ან კომიქსის ფორმით.

მონაწილეთა ასაკი: 8 – 15 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** „Padlet", „Canva", „ToonDoo", „Thinglink", „Blaberize"

“სტიგმა და სტერეოტიპები”

მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად მსჯელობენ ინდივიდუალურ პირებსა და ადამიანთა ჯგუფებზე სტერეოტიპებისა და სტიგმების ზემოქმედების შესახებ. ორი პარტნიორი სკოლიდან თითო მასწავლებელი დამოუკიდებლად ირჩევს ფოტოებს, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა გარემოში მცხოვრები ადამიანები და ეს მასწავლებლები ერთმანეთს უცვლიან შეგროვილ ფოტოებს, რათა მათი მოსწავლეებისათვის ეს მასალები უცნობი იყოს. ამის შემდეგ, ონლაინშეხვედრის ფარგლებში, პარტნიორი გუნდები მონაცვლეობით იღებენ ერთ ფოტოს და შუბლზე აკრავენ ერთ-ერთ მოსწავლეს, პარტნიორი სკოლის მოსწავლეები ხედავენ ფოტოს და წარმოთქვამენ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავს ფოტოზე გამოსახული პირისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ აზრსა და შეხედულებებს. სიტყვები შეიძლება იყოს როგორც დადებითი მნიშვნელობის, ასევე, უარყოფითი განწყობის მატარებელი. მოსწავლე იწერს ყველა სიტყვას და შემდეგ მას სთხოვენ, გამოიცნოს, თუ ვინ არის ფოტოზე გამოსახული პიროვნება, იმ სიტყვების მიხედვით, რომლებიც მას პარტნიორი გუნდის მოსწავლეებმა მიაწოდეს.

მას შემდეგ, რაც გამოცნობის თამაშში ყველა ფოტო მიიღებს მონაწილეობას, მოსწავლეები იწყებენ მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ არის სტიგმა და სტერეოტიპები უსამართლო და, ასევე, სტიგმებისა და სტერეოტიპების დამკვიდრების საქმეში მედიის როლის შესახებ. მოსწავლეებს შეუძლიათ კვლევის გაგრძელება და ადგილობრივ საზოგადოებაში გამოკითხვის ჩატარება იმის გასარკვევად, თუ როგორ რეაგირებენ სხვა ადამიანები იმავე ფოტოებზე. მიღებული შედეგებისა და აღმოჩენების საფუძველზე, მოსწავლეებს შეუძლიათ, იმსჯელონ და შეთანხმდნენ პრობლემის უფრო სიღრმისეული მოგვარების გზებზე.

მონაწილეთა ასაკი: 10-14 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ფოტოები, Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია

„ყალბი ახალი ამბების / ფეიკ ნიუსის გამომძიებლები”

მას შემდეგ, რაც კლასში მოსწავლეები იმსჯელებენ ყალბი ახალი ამბების შესახებ, განიხილავენ მის შედეგებს და იმას, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ, რა შეესაბამება სიმართლეს და რა არა, პარტნიორი სკოლის მოსწავლეები ადგენენ კითხვარს თავიანთი თანატოლებისათვის. კითხვარი უნდა შეიცავდეს რეალურ და ყალბ გამოსახულებებსა და ამბებს და პარტნიორი კლასის მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელი გამოსახულება ან ამბავია ყალბი და რომელი - არა. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოამზადებენ კითხვარებს, ეს კითხვარები უნდა განთავსდეს “TwinSpace“-ზე და პარტნიორი კლასის მოსწავლეები ავსებენ ამ კითხვარს. თითოეული კლასიდან გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც გადაეცემა სერტიფიკატი და მიენიჭება ყალბი ახალი ამბების საუკეთესო გამომძიებლის ტიტული. შემაჯამებელი აქტივობის სახით, მოსწავლეებს შეუძლიათ, იმსჯელონ იმაზე, თუ რა იმალება ყალბი ფოტოებისა და ყალბი ამბების მიღმა.

მონაწილეთა ასაკი: 12-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Kahoot, Quizziz

“რას ნიშნავს შენთვის სიძულვილის ენა?”

პარტნიორი სკოლები ონლაინრეჟიმში მსჯელობენ სიძულვილის ენის შესახებ და ერთმანეთს უზიარებენ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებს, რომლებიც მათ ან სხვა ადამიანებს გადახდომიათ თავს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ „ონლაინ სიძულვილის ენის“ განმარტებებს და გააზიარონ ისინი ფორუმზე.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან „სიძულვილის ენის“ სხვადასხვა განმარტებას, მასწავლებელი სთხოვს მათ, შეადგინონ „სიძულვილის ენის“ საკუთარი საერთო განმარტება. მოსწავლეებმა, შესაძლებელია, დაიწყონ იმის კვლევით, თუ რა არ წარმოადგენს ონლაინ სიძულვილის ენას. მაგალითად, სიძულვილის ენის გამოყენებას ადგილი არ აქვს, როდესაც ვინმე სოციალურ ქსელში, მაგალითად, „Twitter“-ზე, აქვეყნებს მხარდასაჭერ გზავნილს: „არაჩვეულებრივად გაართვი თავი, ძალიან ვამაყობ შენით!“ ან „ონლაინ სიძულვილის ენად“ არ მიიჩნევა უხეში და შეურაცხმყოფელი გამონათქვამი.

შესაძლებელია, უფრო მარტივი აღმოჩნდეს ვრცელი განმარტება, რომელიც მოიცავს მაგალითს და ყველასთვის გასაგებად აღწერს, თუ რას წარმოადგენს „ონლაინ სიძულვილის ენა“. ერთი მოკლე წინადადებით, სავარაუდოდ, ვერ მოხდება ამ ტერმინის განმარტება.

მასწავლებლები მოსწავლეებს ანაწილებენ შერეული ეროვნების ჯგუფებად და სთხოვენ მათ, მოცემულ განმარტებას უფრო საინტერესო სახე მისცენ. მათ უნდა აირჩიონ რომელიმე საშუალება, რომელითაც მუშაობა ეხალისებათ, მაგალითად, ანიმაცია, ფლეშმობი, ლექსი, რეპი და ა. შ. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები კენჭისყრის საშუალებით ირჩევენ საუკეთესო ნამუშევარს თითოეულ კატეგორიაში. და ბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მათი ნაწარმოების საზოგადოებამდე მიტანა, საზოგადოების წევრებს შორის სიძულვილის ენის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით.

მონაწილეთა ასაკი: 12-16 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** „Biteable“, „Kapwing“, „Haiku“ ან აკროსტიხები, „Rhymezone“ (აქტივობები სიძულვილის წინააღმდეგ მიმართული პროექტიდან: სოციალურ-ემოციური სწავლება ურთიერთგაცნობის მიზნით (“Selma”): https://hackinghate.eu/)

“მედია: უფლებები, თავისუფლება, პროპაგანდა”

მასწავლებლები სთხოვენ თავიანთ მოსწავლეებს, გაეცნონ, თუ როგორ შუქდება მედიაში - ტელევიზიით, რადიოთი, გაზეთებსა და ინტერნეტში - მიმდინარე მოვლენები და შეაგროვონ და „Padlet“-ზე განათავსონ ის სტატიები, ვიდეორეპორტაჟები ან ტექსტები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე საინტერესოა. რა კავშირი არსებობს პროპაგანდასა და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შორის? მასწავლებლები ამ კითხვას განიხილავენ თავის მოსწავლეებთან და შემდგომ მოსწავლეები ამ საკითხზე მსჯელობას აგრძელებენ პარტნიორი კლასის მოსწავლეებთან ონლაინრეჟიმში გამართული შეხვედრის ფარგლებში. მოსწავლეებს შეუძლიათ, მოიწვიონ ექსპერტი, საკითხის უფრო სიღრმისეულად განხილვის მიზნით.

მონაწილეთა ასაკი: 13 – 18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** “TwinBoard”-i,”Online Meetings”-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია, “Padlet”-ი

4. ახალგაზრდა ლიდერები, მოაზროვნეები, ცვლილებათა შემოქმედები

4.1 ახალგაზრდების აღჭურვა საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

"რაც წლები გავა, ქალები და მამაკაცები აღმოაჩენენ, რომ განათლების საშუალებით შეძენილი ყველაზე მყარი და გამოსადეგი გამოცდილება უკავშირდება არა კონკრეტულ ინფორმაციას, რომელსაც სკოლაში მოსმენილი ლექციური გაკვეთილების ან სახელმძღვანელოს საშუალებით ვიღებთ, არამედ ღირებულებებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში აქტიური ჩართულობის შედეგად ვიძენთ. ჩვენი მიღწევები დაკავშირებული და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვითავისებთ სხვების პრობლემებსა და საწუხარს - და თუ რამდენად აღვიქვამთ საკუთარ ცხოვრებას გაცილებით დიდი სოციალური მიზნის ნაწილად" *(Manning Marable, 1997)*



ახალგაზრდების მონაწილეობის რვა დონე (Hart 1992:8.)

ბავშვთა ძირითადი უფლება, მონაწილეობა მიიღონ იმ მოვლენებში, რომლებიც მათ ცხოვრებას ეხება, სულ ახლახან იქნა აღიარებული ბავშვის უფლებების კონვენციაში (1989 წ.).

ზრდასრულებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ბავშვების იმ გარემოთი უზრუნველყოფის საქმეში, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოსაზრებები თავისუფლად გამოხატონ. ბავშვების უფლება, გათვალისწინებული იყოს მათი მოსაზრებები, ვრცელდება ყველა ქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხება ბავშვების ცხოვრებას და რომელთა გახორციელებაც და მიღებაც ხდება: მათ ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებასა და ეროვნული პოლიტიკის დონეზე. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების შეხედულებებს.

როჯერ ჰარტი, საკუთარ ნაშრომში "ბავშვების მონაწილეობა: ტოკენიზმიდან მოქალაქეობამდე", რომელიც გამოქვეყნდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კვლევითი ცენტრის მიერ, გვთავაზობს - შერი არსტეინის

მიერ შემოტანილი „მონაწილეობის კიბის“(1969 წ.) - რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოქალაქეების ჩართულობას ეხება - გადაკეთებულ და ბავშვების საჭიროებებზე მორგებულ ვერსიას. „მონაწილეობის კიბე“ აღწერს პროექტებში მონაწილეობისა და ჩართულობის სხვადასხვა ხარისხს, დაწყებული პირველი - ყველაზე დაბალი საფეხურიდან, რომელიც გულისხმობს მანიპულირებას, ჭეშმარიტი ჩართულობისა და მონაწილეობის ნაცვლად და დამთავრებული ზედა საფეხურით, რომელიც გულისხმობს ბავშვების მიერ ინიცირებულ და უფროსებთან ერთად მიღებულ გადაწყვეტილებებს (იხ. სურათი).

ნაშრომში, ასევე, ნათქვამია, რომ მონაწილეობა, როგორც ძირითადი სამოქალაქო უფლება, განიმარტება როგორც „იმ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა, რომლებსაც გავლენა აქვთ როგორც პიროვნების ცხოვრებაზე, ასევე, იმ თემისა თუ საზოგადოების ცხოვრებაზე, რომლის წევრიც არის პიროვნება” (Hart, 1992). ჰარტის თანახმად, არ უნდა გვქონდეს მოლოდინი იმისა, რომ 16, 18 ან 21 წლის ასაკში ახალგაზრდები ერთბაშად იქცევიან აქტიურ მოქალაქეებად, თუ მათ არ აქვთ გამოცდილება იმისა, თუ რას ნიშნავს საკუთარი ხმით სარგებლობა, საკუთარი თავისა და ცხოვრების მართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული მონაწილეობის მნიშვნელობის გააზრება და მონაწილეობისათვის საჭირო თავდაჯერებისა და კომპეტენციის შეძენა მხოლოდ პრაქტიკის საშუალებით,ეტაპობრივად არის შესაძლებელი და ეს პრაქტიკა სწავლის პროცესის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

„მონაწილეობის კიბეს“ დიდი წვლილი მიუძღვის ისეთი ცნებების შესახებ ცნობადობის ამაღლების საქმეში, როგორიცაა ტოკენიზმი[13], დეკორაცია[14], მანიპულაცია, ექსპლუატაცია და ბავშვების გამოყენება უფროსების მიერ, ბავშვთა დაცვის სახელით. მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ მრავლად არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები „მონაწილეობის კიბის“ სულ ქვედა საფეხურზე იმყოფებიან. მაგალითად, ბავშვებს იყენებენ უფროსების მოსაზრებების გამოსახატავად და გასახმოვანებლად, ან მათ სთხოვენ, თქვან, ან გააკეთონ რამე, რაც უფროსების ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე ბავშვებისას.

ახალგაზრდებს, ისევე, როგორც ნებისმიერი ასაკის ადამიანებს, უნდა ჰქონდეთ არჩევანის გაკეთების საშუალება (Chanoff, 1981). თუმცა, განათლების მიზანს მხოლოდ მოსწავლეების არჩევანის შესაძლებლობებით აღჭურვა არ წარმოადგენს, არამედ, ასევე, მათი აღჭურვა საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტული შესაძლებლობებითაც, რათა მათ შეძლონ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება და არსებული სტრუქტურების შეცვლა და ტრანსფორმირება ისე, რომ მსოფლიო უკეთეს ადგილად აქციონ, ყველასთვის (Westheimer & Kahne, 1998).

ამ მიმართულებით, მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია. მასწავლებლებმა უნდა გაამხნევონ მოსწავლეები, რათა მათ გამოთქვან თავიანთი აზრი და ისარგებლონ ხმის უფლებით, და მიეცეთ თავიანთი შეხედულებების გამოხატვისა და საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების საშუალება. ახალგაზრდები დღევანდელი დღის ლიდერები არიან, და არა ხვალინდელი დღის. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც ახალგაზრდები ხმას იმაღლებენ, აქტიურად ებმებიან საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში და ცვლილებების შემოქმედებად გვევლინებიან. წინამდებარე თავში ჩვენ ორ მაგალითს მოვიყვანთ.

13 ტოკენიზმი, ჰარტის „მონაწილეობის კიბეში“, გამოყენებულია იმ შემთხვევების აღსანერად, რა დროსაც „ბავშვები ფიქტიურად სარგებლობენ ხმის უფლებით, ხოლო ფაქტიურად მათი მოსაზრების გათვალისწინება საერთოდ არ ხდება და მათ არ აქვთ არჩევანის გაკეთების ან საკუთარი მოსაზრების ფორმულირების შესაძლებლობა“ (გვ.9, ჰარტი, 1992 წ.

14 დეკორაცია, ჰარტის თანახმად, აღნიშნავს „საკმაოდ ხშირ შემთხვევებსა და ღონისძიებებს, რა დროსაც ბავშვებს ურიგდებათ საჩუქრები, მაგალითად, მაისურები, რომლებიც რაღაც მიზანს უკავშირდება, ან რაიმე ღონისძიებაზე ისინი ასრულებენ სიმღერას ან ცეკვას ასეთ ფორმებში გამოწყობილები, თუმცა წარმოდგენა არ აქვთ, თუ რას ემსახურება მათი ფორმები და არც მონაწილეობა აქვთ მიღებული ამ ღონისძიების ორგანიზებაში“ (p.9, Hart, 1992)

ევროპა სწორ გზაზე 6: რომელ გზაზე?

სანდრა კობიდი
„Team Blue“-ს ინტერვიუერი/ ბლოგერი

ევროპა სწორ გზაზე (EoT) https://www.europeontrack.org წარმოადგენს პროექტს, რომლის მიზანიც არის, ევროპის მასშტაბით, მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების შესახებ ცნობადობის ამაღლება, ამ საკითხებზე მსჯელობისათვის სათანადო გარემოს შექმნა და ახალგაზრდების მოსაზრებების მოსმენა და გათვალისწინება. პროექტის ინიციატორია ევროპელ სტუდენტთა ფორუმი „AEGEE Europe“ და იგი პროექტის “My Europe My Say” ფარგლებში ხორციელდება, რომელიც წარმოადგენს AEGEE-ის პროექტს, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობას, ახალგაზრდული ორგანიზაციების შესაძლებლობების გამოყენებას და ეხება ევროპის მოქალაქეობასა და ღირებულებებს და მონაწილეობის ფორმალურ საშუალებებს. აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპის განხორციელება დაიწყო 2013 წელს.

„Erasmus+“-ის პროგრამის მხარდაჭერით, პროექტმა „ევროპა სწორ გზაზე“ (EoT), შესაძლებლობა მისცა ორ გუნდს, ჯამში ექვს ელჩს (თითოეულ ამ გუნდში წარმოდგენილი იყო ერთი ვიდეოგრაფი, ერთი ფოტოგრაფი და ერთი ინტერვიუერი) ერთი თვის მანძილზე მატარებლით ემოგზაურათ 20 ქალაქში და გაემართათ სემინარები, ინტერვიუები აეღოთ ახალგაზრდებისაგან და მოეწყოთ ღონისძიებები, ევროპის 20-ზე მეტი ქალაქიდან წარმოდგენილ 200-მდე მოხალისესთან ერთად. ვინაიდან ადგილობრივი ორგანიზატორები წარმოადგენენ AEGEE-ის მონაწილეებს, ღონისძიებების ორგანიზებისას, თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა პროექტის „ევროპა სწორ გზაზე“ (EoT) თემებსა და ადგილობრივი ახალგაზრდების საზოგადოებების ინტერესებს შორის კავშირის უზრუნველყოფა. პროექტის უპირატესობას წარმოადგენს მიდგომა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაზეა ორიენტირებული და ელჩებისა და ორგანიზატორების მრავალფეროვნება, რაც თანატოლთა განათლების შესაძლებლობებს ქმნის.

წელს პროექტის მე-6 ეტაპი ხორციელდება, სახელწოდებით „ევროპა სწორ გზაზე („Europe on Track“) 6: და რა გზაა ეს? ევროპის მომავლისკენ სავალი გზა, ახალგაზრდების მონაწილეობით“. მის მიზანს წარმოადგენდა ევროპაში აქტუალური საკითხების იდენტიფიცირება, წარმოჩენა და მათი განხილვა და ახალგაზრდა ევროპელების აღჭურვა დღევანდელი დემოკრატიის სადავეების მართვის უფლებამოსილებით. პროექტი „ევროპა სწორ გზაზე“ (EoT) მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნის: პროექტში მონაწილე გუნდის წევრები და ელჩები არიან ახალგზრდები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ რეალური პროდუქტის შექმნაში, ყველგან, სადაც ისინი ჩერდებიან, როგორებიცაა სტატისტიკური მონაცემები მონაწილე ახალგაზრდების შეხედულებებზე მოქალაქეობასთან დაკავშირებით, ვიდეოები, სურათები, ბლოგ-პოსტები. გარდა ამისა, სემინარებში მონაწილე ახალგაზრდები ეცნობიან AEGEE-ის ადგილობრივ ფილიალებსა და ახალგაზრდების მონაწილეობის სხვადასხვა მეთოდს, უზრუნველყოფენ შესაძლებლობების ზრდას ნებისმიერ ადგილობრივ თემში, რომელსაც ისინი სტუმრობენ. და ბოლოს, ევროპარლამენტის არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ, არჩევნების შედეგებისა და ევროპის მომავალის განხილვა მიმდინარეობს ალიკანტეში გამართული ღია კონფერენციის ფარგლებში, რაც დაგროვილი ცოდნის გაზიარებას ემსახურება და შემდგომ ეტაპზე გადასვლას აღნიშნავს.

დამატებითი ინფორმაცია „MyEuropeMySay“-ს შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე:
https://myeuropemysay.eu/

დამატებითი ინფორმაცია „AEGEE“-ს შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე:
https://www.aegee.org/

ნიადაგის მომზადება ინტეგრაციისათვის

ჯუდით ლანტაი
ევროპის სკოლების მოსწავლეთა
გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს
(OBESSU) პროექტისა და პოლიტიკის
ოფიცერი,[15]

ლტოლვილი და მიგრანტი მოსწავლეების ჩართულობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად, ევროპის სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიურო (OBESSU) ახორციელებს პროგრამას სახელწოდებით: „ნიადაგის მომზადება ინტეგრაციისათვის“. მოსწავლეებსა და მოსწავლეთა გაერთიანებებს, ევროპის მასშტაბით, რომლებიც დაინტერესებული არიან აქტიური როლის შესრულებითა და იმით, რომ მათი მოსაზრებები იყოს გათვალისწინებული და/ან რომლებიც მზად არიან მოქმედებისთვის, შეუძლიათ, მიკროგრანტი მოიპოვონ და განახორციელონ პროექტები, რომლებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

2015 წელს, როდესაც ევროპა მიგრაციის ტალღამ მოიცვა და აღნიშნული საკითხი აქტუალური გახდა მთელი ევროპის მასშტაბით, ირლანდიის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებამ (ISSU), რომელიც ევროპის სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს (OBESSU) წევრია, აღნიშნა, რომ ლტოლვილი და მიგრანტი მოსწავლეები უამრავ დაბრკოლებას აწყდებოდნენ ირლანდიის სკოლებში სწავლის დროს. ირლანდიის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანების (ISSU) წევრთა აზრით, არც ირლანდიის განათლების სისტემა და არც სკოლებში არსებული გარემო არ იყო მზად იმისათვის, რომ ხელი შეეწყო სკოლებში მიგრანტი და ლტოლვილი მოსწავლეების სრული ინტეგრაციისათვის. ის ფაქტი, რომ ლტოლვილ და მიგრანტ მოსწავლეებს დაბრკოლებები ექმნებოდათ მოსწავლეთა საბჭოების საქმიანობაში ჩართვისა და კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობის მიმართულებით, ნიშნავდა იმას, რომ ეს მოსწავლეები ხშირად ვერ აჟღერებდნენ საკუთარ პრობლემებსა და სურვილებს და ვერ აწვდენდნენ ხმას მათ მოგვარებასა და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებსა თუ ინსტიტუტებს.

ირლანდიის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებამ (ISSU), მოიპოვა გრანტი პროგრამისათვის „ნიადაგის მომზადება ინტეგრაციისათვის“ და შეუდგა აღნიშნულ საკითხებზე მუშაობას. ირლანდიის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანება (ISSU) საქმიანობას შეუდგა მიგრანტი და ლტოლვილი მოსწავლეებისათვის კონსულტაციების ორგანიზებით, რომელთა ფარგლებშიც მიგრანტ და ლტოლვილ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები, სკოლაში მათ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ღონისძიებამ, სახელწოდებით: “ირლანდიის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანების (ISSU) ინსტრუმენტი ინკლუზიური სკოლებისათვის“ მოიპოვა დაფინანსება, რის შედეგადაც ყველა მოსწავლეს შეეძლო, უფასოდ ესარგებლა ტრანსპორტით, დანიშნულების ადგილამდე გადაადგილებისას. ფაქტობრივად, წარმოებული იქნა მიგრანტ და ლტოლვილ მოსწავლეთათვის არსებული დაბრკოლებების სრულყოფილი ანალიზი, რაც სკოლებს დაეხმარა, გამხდარიყო უფრო ინკლუზიური. ღონისძიებაში ჩართული იყო ბევრი ირლანდიელი მოსწავლე, რომელიც აღნიშნული საკითხებით იყო დაინტერესებული; მიღწეულ იქნა მკაფიო კონსენსუსი იმის შესახებ, თუ რა სტანდარტები ესაჭიროებოდა სკოლებს უფრო ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

ამ პროცესის შედეგად, შეიქმნა ირლანდიის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გაერთიანების (ISSU) ქარტია ინკლუზიური სკოლებისათვის და, პროექტის განხორციელებისათვის

15 ევროპის სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიურო (OBESSU) წარმოადგენს სკოლების მოსწავლეთა იმ ეროვნულ გაერთიანენებს შორის თანამშრომლობისათვის განკუთვნილ პლატფორმას, რომლებიც მუშაობენ ევროპაში ზოგადი საბაზო და საშუალო პროფესიული განათლების საკითხებზე

მოპოვებული დაფინანსების წყალობით, ორგანიზაციამ შეძლო აღნიშნული ქარტია მიეწოდებინა ირლანდიაში არსებული ყველა სკოლისთვის. ქარტია წარმოადგენს მოსწავლეების მოსაზრებებით დაკომპლექტებულ, მოსწავლეების მიერ დაწერილი ტექსტით შედგენილ და მოსწავლეების მიერვე გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც ეძღვნება ირლანდიის საშუალო სკოლებში მიგრანტი და ლტოლვილი მოსწავლეების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქარტიაში შესულია პირობები, რომელთა დაცვაც ევალებათ სკოლებსა და სკოლის მოსწავლეებს, სკოლებში ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად, როგორც მიგრანტი და ლტოლვილი მოსწავლეებისათვის, ასევე, ირლანდიელი მოსწავლეებისათვის, ისეთი გარემოს უზრუნველსაყოფად, სადაც ყველას ექნება შესაძლებლობა, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და მონაწილეობა მიიღოს სკოლის ფარგლებში განხორციელებულ დემოკრატიულ პროცესებში. ქარტიამ ყურადღება მიიპყრო პოლიტიკურ წრეებშიც, ინტეგრაციის მინისტრი დაესწრო ქარტიის მიღებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და პროექტის დამსახურება იყო ის, რომ სკოლებში ინტეგრაციის თემაზე ფართო დისკუსია დაიწყო.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის „ნიადაგის მომზადება ინტეგრაციისათვის“ შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://seedsforintegration.org/

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს (OBESSU) შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://obessu.org/

4.2 „eTwinning“-ის გამორჩეული პროექტები

როჯერ ჰარტის მოწოდების კვალდაკვალ, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდებისათვის შესაძლებლობების შექმნას, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილებები და აქტიურად ჩაერთონ სკოლასა თუ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში, „eTwinning“-ის პროექტები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროექტების ფორმატისა და მიმართულებების განსაზღვრაში. ამის გათვალისწინებით, „eTwinning“-ის სკოლის მისიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ:

მოსწავლეებს საკუთარი როლი აკისრიათ „eTwinning“-ის სკოლის განვითარებაში. სწორედ მოსწავლეები უწყობენ ხელს „eTwinning“-ის პოპულარიზაციას მასწავლებლებს (როგორც „eTwinning“-ში უკვე ჩართულ მასწავლებლებს, ასევე, იმ მასწავლებლებს შორის, რომლებიც ჯერ არ არიან ჩართული „eTwinning“-ში) და მშობლებს შორის, მოქმედებენ რა როგორც მამოძრავებელი და წამყვანი ძალა, ასევე, როგორც პირები, რომლებზეც ყველაზე მეტად აისახება პედაგოგიკასა და ტექნოლოგიების მიმართულებით განხორციელებული ინოვაციების შედეგები.

ზემოთქმულის მიღწევა შესაძლებელია მოსწავლეების აქტიური ჩართულობით პროექტებში, რომელთა ფარგლებშიც მათ საშუალება ექნებათ, გაეცნონ სხვადასხვა სოციალურ საკითხს, იმსჯელონ, იკამათონ და შემოგვთავაზონ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები. აღნიშნული, ასევე, სრულ შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს რეკომენდაციასთან (2019 წ.) რომელშიც ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის და საზოგადოებრივ პროცესებში სრული პასუხისმგებლობით ჩართვისათვის საჭირო შესაძლებლობების შექმნა, რაც მათ საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენისა და თავდაჯერების ზრდაში დაეხმარება. ქვემოთ აღწერილია რამდენიმე პროექტი, რომელსაც სათავეში მოსწავლეები უდგანან და რომელიც ემსახურება ერთ მიზანს, რომ მათ საკუთარი მოსაზრებები გააჟღერონ, როგორც სკოლის მასშტაბით, ასევე, იმ საზოგადოებებში, რომლის წევრებიც ისინი არიან.

“დემოკრატიიდან განათლებისკენ”

მონაწილეთა ასაკი:
3 – 12 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
ისლანდია, პოლონეთი, სლოვენია, ესპანეთი

როგორც წინამდებარე თავის შესავლიდან შევიტყეთ, მონაწილეობის დასაწყებად შესაფერისი ასაკი არ არის 16 ან 18 წელი და მოცემული პროექტი დასტურია იმისა, რომ დემოკრატიული მონაწილეობა შესაძლებელია სკოლამდელ ასაკშიც კი დაიწყოს. პროექტის ფარგლებში წარმოებულ იქნა გამოკვლევა იმისა, თუ როგორ ესმით დემოკრატია და განათლება სკოლამდელი ასაკის

ბავშვებს. დემოკრატიასთან დაკავშირებული თემები ჩართული იყო ყოველდღიურ აქტივობებში და წარმოადგენდა ესპანური სკოლის საერთო სასკოლო მიდგომის ნაწილს; პროექტში მონაწილეობდა ოთხი კლასი, სხვადასხვა სოფელში მდებარე ოთხი სკოლიდან. აღნიშნული სკოლები სოფლების ტერიტორიაზე მდებარეობს და პროექტში, ჯამში, მონაწილეობას იღებდა 3-დან 12 წლამდე ასაკის 38 მოსწავლე. პროექტმა მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა, დაემყარებინათ კავშირი პარტნიორებთან და ემუშავათ და ეთანამშრომლათ თავიანთ თანატოლებთან.

პროექტის ყურადღების ცენტრში ოთხი სფერო იყო მოქცეული: მასწავლებლების, როგორც სწავლის პროცესის ხელშემწყობი პირების როლი; მოსწავლეებისათვის თავისუფლების მიცემა, რათა მათ თავად დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი სწავლის პროცესი; მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა; და ბოლოს, როგორ შეიძლება ყოველდღიურმა საქმიანობამ და გარემომ ხელი შეუწყოს დემოკრატიის საშუალებით სწავლასა და მოსწავლეთა წიგნიერების ზრდას. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეები იკვლევდნენ და ითვისებდნენ სხვადასხვა თემას, ექსპერიმენტების, თავისუფალი და ზედამხედველობით წარმოებული თამაშების, ექსკურსიებისა და გასვლითი ღონისძიებების საშუალებით, რა დროსაც მოსწავლეები სტუმრობდნენ ადგილობრივ დაწესებულებებს, და რა დროსაც მოსწავლეებს ხშირად უწევდათ წყვილებში ან გუნდებში მუშაობა. მასწავლებლები ხშირად სათავეში უდგებოდნენ მოსწავლეების მიერ ინიცირებულ უჩვეულო აქტივობებსაც, როგორებიცაა, მაგალითად: დრაკონის ბუნაგიდან სურნელების შეგროვება, ბროშურის „როგორ უნდა დავიკნავლოთ?“ შედგენა ან ტორნადოსა და ღრუბლების შექმნა, მოთხრობებისათვის ილუსტრაციების შექმნა მეორადი გადასამუშავებელი მასალების გამოყენებით და სხვა აქტივობები. უზრუნველყოფილი იყო დემოკრატიული ღირებულებების, როგორებიცაა პატივისცემა, თანამშრომლობა, მხარდაჭერა, სიბრძნე, მშვიდობა, მეგობრობა და სხვა, პრაქტიკული დანერგვა, ვიდეორგოლის შექმნის საშუალებით, რომელსაც „ღირებულებების შენება“ ეწოდა. ბავშვები მონაწილეობდნენ „ბავშვთა საბჭოს“ საქმიანობაში, სადაც მათ, სკოლის გარემოში, უფროსების როლი მოირგეს და გაეცვნენ იმ პასუხისმგებლობებს, რომლებსაც საზოგადოების წევრობა მოითხოვს და, ასევე, სკოლის საზოგადოების მოთხოვნებს; ისინი სთავაზობდნენ სკოლას პრობლემების მოგვარების გზებს და ისეთ ინიციატივებს, როგორებიცაა, მაგალითად, ცხოველთა თავშესაფრისთვის საჭირო ნივთებისა და საკვების შეგროვება.

მოსწავლეებს უამრავი შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი განათლების გასაუმჯობესებლად და ცოდნის გასაღრმავებლად, ისინი მუშაობდნენ სიტყვებზე, იმდიდრებდნენ ლექსიკურ მარაგს და მუშაობდნენ ზოგადი განათლების მიღების მიმართულებით.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/36323

“მე მიყვარს მწვანე პლანეტა - დედამიწა“

მონაწილეთა ასაკი:
7-17 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
ხორვატია, იტალია, რუმინეთი, ტუნისი

მოსწავლეთა მონაწილეობისა და ჩართულობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა უზრუნველყოფა კონკრეტული შესაძლებლობებით, რათა მათ დააგროვონ და გამოიყენონ საკუთარი ცოდნა და მიაგნონ გზებს, რომელიც მათ სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა დაამტკიცეს, რომ *სიყვარული* მხოლოდ სიტყვებით კი არ გამოიხატება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებებით ვლინდება და ეკოლოგიურად ჯანსაღი პლანეტის - დედამიწის სიყვარული ნიშნავს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც მის ისეთად შენარჩუნებას უზრუნველყოფს, როგორიც ჩვენ, ადამიანებს გვერგო. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მოხალისეობრივ საქმიანობაში, რითაც აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელოვანი მაგალითი მიანოდეს თავიანთ სკოლებსა და თემებს. აღნიშნული მოხალისეობრივი საქმიანობა მოიცავდა ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა სკოლის ბაღის დასუფთავება, ხეების დარგვა, ხეებისადმი მიძღვნილი დღის აღნიშვნა, რაც ემსახურებოდა სკოლაში ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობადობის ამაღლებას. მოსწავლეების ინიციატივით წამოწყებულ იქნა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომელიც საერთაშორისო გუნდებს შორის თანამშრომლობით წარიმართა. თითოეული გუნდი გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ასპექტზე მუშაობდა, იკვლევდა რა მის გამომწვევ მიზეზებს, მის ზემოქმედებას და ეძებდა მისი გადაჭრის შესაძლო გზებს. წარმოებული კვლევების, მოწყობილი გასართობი ღონისძიებების, ხეების დარგვისა და მოსაზრებათა ერთმანეთისთვის გაზიარების საშუალებით, მოსწავლეებს ჰქონდათ უნიკალური შესაძლებლობა, საკუთარი თანატოლებისათვის და სრულიად საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ იდეები და ქცეულიყვნენ შთაგონების წყაროდ, რათა მათ დაეწყოთ ზრუნვა გარემოსა და პლანეტის გაჯანსაღებაზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მოსწავლეების მიერ შექმნილ ელექტრონულ წიგნში, რომელში შესული, მოსწავლეების მიერ შემუშავებული პრობლემების გადაჭრის გზები შესაძლებელია იქცეს სასკოლო საზოგადოებებისა და მშობლების შთაგონების წყაროდ.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/70029

“ყურადღება! კარზე ევროპა აკაკუნებს!”

მონაწილეთა ასაკი:
9-11 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საბერძნეთი, ესპანეთი

როგორც *ევროპის სკოლების მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს (OBESSU) მიერ ორგანიზებული* პროექტის *ნიადაგის მომზადება ინტეგრაციისათვის* განხორციელებისას შევიტყვეთ, საზოგადოებაში არსებულ აქტუალურ საკითხებზე ღია დისკუსიების გამართვა და ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები ხშირად პირველ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს არსებული გარემოს შეცვლის მიმართულებით. მოცემული პროეტი

არის დასტური იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი ყოველივე ამის პრაქტიკაში დანერგვა. მოსწავლეებმა, პირველ რიგში, შეისწავლეს, თუ როგორ მიმდინარეობს ნარჩენების მართვა, როგორ ხდება მათი გადამუშავება, რას ნიშნავს ბუნებრივი რესურსების ამოწურვა და როგორ მუშაობს ნაგავსაყრელები. შემდეგ მათ მონაწილეობა მიიღეს ევროპის დონეზე წარმოებულ ერთობლივ კამპანიაში, რომელიც ბუნების დაცვასთან დაკავშირებულ თემებს ეძღვნებოდა. პირველი კამპანიის - სახელწოდებით "კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები" - ფარგლებში, მოსწავლეებმა შექმნეს პლაკატების ელექტრონული წიგნი, რომელშიც ისინი შეეცადნენ, ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის კლიმატის ცვლილების გამომწვევი მიზეზები და მისი ზემოქმედება და შედეგები. უფრო მეტიც, მათ შექმნეს ერთობლივი ვიდეორგოლები, სადაც აღწერილია ის ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, ეკოლოგიაზე კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების შესამცირებლად. მეორე კამპანიის - სახელწოდებით "ნარჩენების შემცირების ევროპული კვირა (EWWR)" - ფარგლებში, მოსწავლეები მუშაობდნენ შერეული ეროვნების გუნდებში და შექმნეს 2018 წლის ეკო-კალენდარი, რომელშიც შესული იყო ეკოლოგიასა და გარემოსთან დაკავშირებული შეთავაზებები და ფაქტები და რომელიც ემსახურებოდა ნარჩენების შემცირების, ხელახლა გამოყენებისა და გადამუშავების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. და ბოლოს, მესამე კამპანიის - სახელწოდებით „მოდით, დავასუფთაოთ ევროპა" - ფარგლებში, მოსწავლეები შეეცადნენ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაევრცელებინათ გზავნილი გარემოს დაცვის საჭიროების შესახებ და, ამ მიზნით, ერთობლივად შექმნეს მუსიკალური ვიდეორგოლი, რომელშიც ჟღერდა სიმღერა ყველასთვის ნაცნობი მელოდიის თანხლებით და რომელზეც ყველა მონაწილე კლასის მოსწავლეებმა, თავიანთ კლასებში, ერთდროულად შეასრულეს ცეკვა.

მოცემული პრაქტიკული აქტივობების საშუალებით, მოსწავლეები იქცეოდნენ, როგორც აქტიური მოქალაქეები და მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს, თავიანთი საზოგადოებების მასშტაბით, ეკოლოგიურად ჯანსაღ გარემოზე ზრუნვასა და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/45884

"WHF: ჩემი მეგობრების დახმარებით"

მონაწილეთა ასაკი:
10 -15 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საბერძნეთი, თურქეთი, უკრაინა

როგორც ჩვენთვის ცნობილია, აქტიურ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ძირითადი კომპეტენციების შეძენა, როგორებიცაა პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება და თვითორგანიზაცია, შესაძლებელია სასკოლო პროექტებში მონაწილეობით. მოცემული პეროექტი სწორედ ამ მოსაზრებას ეფუძნებოდა და მოსწავლეების ჩართვა აღნიშნულ პროექტში განხორციელდა პრობლემების გადაჭრისა და კომუნიკაციის გამოწვევებთან გასამკლავებლად მათი დაინტერესებით. მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით, მათ ევალებოდათ, პარტნიორებთან თანამშრომლობის საფუძველზე, საკუთარ საზოგადოებებში არსებული

რეალური პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და მათი გადაჭრა. პროექტი ოთხი ეტაპისგან შედგებოდა: პროცესში ჩართვა: სამოქმედო გეგმის შედგენა: ღონისძიებების გატარება; და შედეგების შეჯამება, დოქტორ ჯაინ გუდალის ფორმულის "Roots and Shoots" [16] დაცვით. პირველ რიგში, მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საინტერესო ისტორიები მათი ქვეყანების წარმომადგენელი იმ პირების შესახებ, რომლებმაც შეძლეს სასიკეთო ცვლილებების დანერგვა, რის შემდეგაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ როგორც ადგილობრივი, ასევე, გლობალური პროლემების საველე და ონლაინკვლევებში. შემდეგ მათ მონაწილეობა მიიღეს დემოკრატიულ პროცესებში, როგორებიცაა კენჭისყრა და შერეული ეროვნების ჯგუფებში მუშაობა, პრობლემების განხილვის, სამოქმედო კურსის განსაზღვრისა და კონსენსუსის მიღწევის მიზნით. და ბოლოს, მოსწავლეები შეუდგნენ ერთმანეთთან თანამშრომლობას პრობლემის გადაჭრის მიზნით, ერთობლივი გეგმის განხორციელების საშუალებითა და პროექტის ფარგლებში მათი პარტნიორების, ოჯახის წევრებისა და ექსპერტების დახმარებით.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მოისმინეს სხვა ქვეყნებში მცხოვრები იმ პირების ისტორიები, რომლებმაც სასიკეთო ცვლილებების დანერგვა შეძლეს, პროექტის ფარგლებში პარტნიორები შეუდგნენ ადგილობრივი და გლობალური პრობლემების იდენტიფიცირებას და აღწერეს ეს პრობლემები ონლაინინსტრუმენტის „Tricider"-ის გამოყენებით, სადაც ისინი, ასევე, მსჯელობდნენ იმ ასპექტებზე, რომლებსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. პრობლემების ინტერნეტსივრცეში განხილვის შემდეგ, მათ კენჭისყრის საშუალებით შეარჩიეს ის პრობლემა, რომლის მოგვარებაზეც უნდა ეზრუნათ. ონლაინრეჟიმში წარმოებული შეხვედრების ფარგლებში, მოსწავლეებმა ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გაუზიარეს მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარების გზებთან დაკავშირებით. შერეული ეროვნების მოსწავლეებისაგან შემდგარმა თითოეულმა ჯგუფმა ამ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა გზა აირჩია და შეუდგა მის პრაქტიკულად განხორციელებას ადგილობრივად, ცხოველთა დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით. მოსწავლეების მიერ ჩატარებული სამუშაოები გამოქვეყნდა ინტერნეტინსტრუმენტ „Sway"-ზე პრეზენტაციის ფორმით, სახელწოდებით: „მიუსაფარი ცხოველები: პრობლემა, რომელიც გადაჭრას საჭიროებს". პროექტში ევროპის დემოკრატიული კულტურა ჩართულია კენჭისყრისა და საერთაშორისო პარტნიორებთან ონლაინშეხვედრების დროს წარმოებული განხილვების საშუალებით. პროექტი, ასევე, ემსახურება მოსწავლეებში სოციალური მეწარმეობის აზროვნების განვითარებას და მეწარმეობის, როგორც გამჭოლი კომპეტენციის ხელშეწყობას, "იდეების პრაქტიკაში დანერგვისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო პროცესების დაგეგმვისა და მართვის მიზნით, რაც უკავშირდება საზოგადოებაში აქტიურად მონაწილეობას და ... სოციალურად ღირებული წამოწყებების ინიცირებასა და მათში მონაწილეობას მონაწილეობას" (EntreComp, 2016).

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/28045

"სიმართლე პალმის ზეთის შესახებ"

მონაწილეთა ასაკი:
13 – 15 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
იტალია, ლიეტუვა, ესპანეთი

16 https://www.rootsandshoots.org/

ინფორმირებულობა აქტიური მონაწილეობის აუცილებელი და მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ვინაიდან მხოლოდ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზეა შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღება და კონკრეტული ღონისძიებების გატარება. მოცემული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა ზედმიწევნით შეისწავლეს პალმის ზეთის წარმოებასა და მის ყოველდღიურ მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები. მოსწავლეებს დაევალათ, გამოეკვლიათ პალმის ზეთის მოხმარება თავიანთ ქვეყნებში, რის შემდეგაც მათ, ერთმანეთთან თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. მათ, ასევე, სცადეს, მოერგოთ სხვადასხვა როლი, როგორიცაა, პალმის ზეთის პლანტაციების მფლობელი, ადამიანის უფლებათა დამცველი, გარემოსდამცველი, ბიუროკრატი, და მათი პოზიციებიდან ეწარმოებინათ ანალიზი მოსაზრებებისა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: დაქირავებული მუშახელის უფლებების დარღვევა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი და ა.შ.

მოცემული პროექტის ყველაზე წარმატებული შედეგი იყო პალმის ზეთის შესახებ საერთაშორისო ყრილობის დაგეგმვა და გამართვა. ყრილობის ფარგლებში, მოსწავლეებმა შექმნეს პროგრამები, მოამზადეს პრეზენტაციები და გამოვიდნენ სიტყვით, მორგებული როლების შესაბამისად.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace“-ზე:
https://twinspace.etwinning.net/47543

“ერთობლივი მისია, გლობალური მიზნების მისაღწევად“

მონაწილეთა ასაკი:
14 – 17 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ირლანდია, პოლონეთი, ესპანეთი

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები არის მიზნები, რომლებიც მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლას ემსახურება და მათი მიღწევისათვის საჭიროა გლობალურ დონეზე თანამშრომლობა მომდევნო წლების მანძილზე. იზიარებდნენ რა მოსაზრებას, რომ ბავშვები დღეს არიან ლიდერები, ექვსი სკოლა გაერთიანებული ძალებით შეეცადა იმ იდეის განმტკიცებას, რომ მოსწავლეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მდგრადი მომავლის უზრუნველყოფის საქმეში, საკუთარი წვლილის შეტანით. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეებმა შეისწავლეს ჩვენი პლანეტის პროაქტიულობასა და მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები, მაგალითად: რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, როგორც მოქალაქეებს? როგორ შეიძლება ზემოქმედების მოხდენა ჩვენ გარშემო მყოფ საზოგადოებაზე, რათა სამყარო უკეთესობისაკენ შევცვალოთ? მოსწავლეები თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, საერთაშორისო ჯგუფებში მუშაობისას; ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ მოსაზრებებს და ეძებდნენ ზემოთ მოცემული პრობლემებისა და იმ სხვა გამოწვევების

პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მსოფლიოს წინაშე დგას ან დადგება 2030 წლამდე. პროექტის შედეგად, შეიქმნა ელექტრონული ჟურნალი და რადიოარხი. ორივე მედიამ მოსწავლეებს საშუალება მისცა, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთი იდეები და ეპოვათ პრაქტიკული გამოსავალი მათი საზოგადოებების წინაშე მდგარი პრობლემებისათვის. პროექტის დასასრულს, მოსწავლეებმა მათ მიერვე შემუშავებული გზავნილი, რომელიც მდგრადობასა და გარემოს დაცვას უკავშირდებოდა, გაუზიარეს თავიანთი თემის წევრებს.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/46178

"21-ე საუკუნის სკოლა - ციფრული და სოციალური"

მონაწილეთა ასაკი:
15 - 17 წლის მოსწავლეები

ქვეყნები:
ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი

მოცემული პროექტი ორი წელი გრძელდებოდა და დაიწყო წინასწარი კვლევით, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა პროექტში მონაწილე ქვეყნების სასკოლო გეგმებში საზოგადოებრივი მომსახურების ელემენტების ჩართვის სხვადასხვა პრაქტიკა და მეთოდები. რამდენადაც სხვადასხვა ქვეყანაში მოხალისეობისა და საზოგადოებრივი მომსახურების განსხვავებული პრაქტიკაა დანერგილი, პარტნიორებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ საერთო ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები შეძლებდნენ, თავიანთი თანამშრომლობითი, ციფრული და ენობრივი უნარების განვითარებასა და, აქტიური მონაწილეობით, საზოგადოებაში საკუთარი წვლილის შეტანას. პროექტის განმავლობაში, მოსწავლეები მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში, მათ შორის, მუშაობდნენ ლტოლვილებთან, ეხმარებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, სტუმრობდნენ ბავშვთა თავშესაფრებს, ცხოველთა თავშესაფრებს, მაშველებსა და სოციალურად დაუცველ ბავშვებს. პროექტის თითოეულ ეტაპზე, მოსწავლეები აწარმოებდნენ ექსტრემალურ გარემოებებში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის კვლევას და ეწეოდნენ მოხალისეობრივ საქმიანობას, საკუთარი და პარტნიორთა საზოგადოებების მასშტაბით. გარდა ამისა, მოსწავლეებმა მოამზადეს და წარადგინეს პრეზენტაციები ლტოლვილების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ გვარდება მიგრაციის საკითხები მათ ქვეყნებში, როგორ ხდება სპორტსმენების ჩართვა პარაოლიმპიურ თამაშებში, როგორ წარმოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართვა სკოლებში და როგორ ახორციელებენ ადგილობრივი ორგანიზაციები კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ქმედებებს მათ რეგიონებში. პროექტის განმავლობაში მასწავლებლები ხელს უწყობდნენ აქტიური სწავლისა და მონაწილეობის პროცესს. მოსწავლეები და მასწავლებლები მონაწილეობდნენ ფონდის შეგროვების ღონისძიებებში და ერთად ერთვებოდნენ მათ თემებში ორგანიზებულ საერთო აქტივობებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ქვეყნდებოდა ბიულეტენში, რომელიც პროექტის ფარგლებში ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა და რომელშიც შეჯამებული იყო პროექტის ფარგლებში

განხორციელებული საქმიანობა და, ასევე, მოცემული იყო სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები და პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე სხვა მოვლენები თუ ღონისძიებები. პროექტის ბოლოს, შეჯამდა ყველა ბიულეტენში მოცემული მასალა და ისინი გაერთიანდა ბროშურაში, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ციფრულ, ასევე, ბეჭდურ ფორმატში.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ „TwinSpace"-ზე:
https://twinspace.etwinning.net/44282

4.3 „eTwinning"-ის ფარგლებში რეკომენდებული აქტივობები

დემოკრატიული პრინციპები უნდა იყოს ჩართული სკოლის სტრუქტურასა და სასკოლო პროგრამებში და ეს სკოლაში სტანდარტულ პრაქტიკად უნდა დაინერგოს. პედაგოგებმა უნდა გამოიჩინონ პატივისცემა ბავშვების აზრების მიმართ და საშუალება უნდა მისცენ მათ, გამოთქვან მოსაზრებები, ბავშვებისგან დაკომპლექტებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების შექმნითა და თანატოლთა მედიაციის პრაქტიკის დამკვიდრებით, ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების მათთვის მინდობისა და მათი აღჭურვით თვითორგანიზების შესაძლებლობებით. აუცილებელია, რომ პედაგოგებმა უზრუნველყონ ბავშვები სწავლის კონკრეტული შესაძლებლობებით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, შეისწავლონ საკითხები, განიხილონ, ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, იკამათონ და შეიმუშაონ კონფლიქტის მოგვარების საკუთარი სტრატეგიები და მიაღწიონ დასახულ გონივრულ მიზნებს. მონაწილეობის ამგვარი გამოცდილება განსაკუთრებით წამახალისებლად მოქმედებს ბავშვებზე, ეხმარება რა მათ, გააცნობიერონ, რომ მონაწილეობა ღირს. მონაწილეობა მოითხოვს ბავშვებში ლიდერობის უნარების გამომუშავებას, მათ აღჭურვას საკუთარი უნარების განვითარებისათვის საჭირო შესაძლებლობებით და იმ ინსტრუმენტებით, რომლებიც მათ დაეხმარება, გახდნენ მნიშვნელოვანი სოციალური ფიგურები.

"პასუხისმგებლობის მარცვლები"

მასწავლებლები ესაუბრებიან თავიანთ მოსწავლეებს მათ ქვეყანაში გავრცელებული მცენარეებისა და ყვავილების შესახებ. შემდეგ, ისინი ამოწმებენ ამინდის პროგნოზს მათი პარტნიორების ქვეყნებში და, ამინდის შესაბამისად, უგზავნიან მათ თესლს, რომელმაც შეიძლება იხაროს ამ ქვეყნებში. თესლის მიღების შემდეგ, მასწავლებლები ესაუბრებიან საკუთარ მოსწავლეებს თესლიდან გაზრდილი მცენარის მნიშვნელობასა და მის გახარებასთან და, მოგვიანებით, მიღებული მცენარის მოვლასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე, რის შემდეგაც ხდება მოსწავლეებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება. მას შემდეგ, რაც მცენარე ზრდას დაიწყებს, პარტნიორები იწყებენ ონლაინჟურნალის წარმოებას, სადაც ისინი აზიარებენ მცენარის ზრდის ამსახველ ფოტოებსა და ინფორმაციას.

მონაწილეთა ასაკი: 4-6 წლის მოსწავლეები| **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Storybird, Storyjumber

"შთაგონებიდან მოქმედებისკენ"

მასწავლებლები მოსწავლეებს უზიარებენ ინფორმაციას იმ მნიშვნელოვანი ისტორიული პირების შესახებ, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით შეძლეს მსოფლიოს შეცვლა. მოსწავლეები მუშაობენ შერეული ეროვნების გუნდებში, რა დროსაც მათ შეუძლიათ, მეტი ინფორმაცია მოიპოვონ იმ

(ეროვნული თუ საერთაშორისო მნიშვნელობის) პირების ცხოვრებაზე, რომელთაც შეძლეს მათი საზოგადოების უკეთესობისაკენ შეცვლა. მასწავლებლებს შეუძლიათ, მოსწავლეებს შესთავაზონ მსჯელობა ამ ცნობილი ადამიანების ზოგიერთ გამონათქვამებზე.

მაგალითად: მარტინ ლუთერ კინგი (უმცროსი): „ცხოვრების მუდმივი და განსაკუთრებულად გადაუდებელი შეკითხვაა - რას აკეთებ სხვებისთვის."

შერეული ეროვნების გუნდებში მუშაობისას წარმოებული კვლევისა და მნიშვნელოვანი ადამიანების მოღვაწეობის შესახებ პრეზენტაციით წარდგომის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ, განიხილონ ის კონკრეტული გზები, რომლებიც მათ დაეხმარება, საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში: ხანდაზმულთა სახლის მონახულება, საზოგადოებრივი ტერიტორიის დასუფთავება, ყვავილების დარგვა, საქველმოქმედო ღონისძიების მოწყობა, მაგალითად, მოსწავლეების მიერ დამზადებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვა, ფულის შეგროვების მიზნით, საჩუქრების, სათამაშოების და ტანსაცმლის შეგროვება და ა.შ.. შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ, ერთმანეთს გაუზიარონ მოხალისეობრივი საქმიანობის დროს მიღებული გამოცდილება და შეადგინონ „მოხალისეთა სახელმძღვანელო", რომელშიც მოცემული იქნება რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიძიოთ საზოგადოებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობები.

მონაწილეთა ასაკი: 6-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია, Twinboard, Google Docs, Madmagz

"ვქმნით ჩვენს საკუთარ მიკროქვეყანას"

პარტნიორები იკვლევენ იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც მათ ქვეყნებს საერთო აქვს:

სუვერენიტეტი: სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი, ელჩების გაცვლა, პასპორტების მიღება, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა. ეს, ჩვეულებრივ, მოიცავს საკუთარი ტერიტორიის (მიწის) ფლობას.
დროშა და ეროვნული ჰიმნი: რომლებიც სახელმწიფოს სიმბოლოს წარმოადგენს.
კონსტიტუცია ან ძირითად კანონთა კრებული, რომლითაც ხელმძღვანელობს ქვეყნის სამართლებრივი სისტემა.
მთავრობა: არჩეული და დაკომპლექტებული, კონსტიტუციის შესაბამისად.

მოსწავლეებს შეუძლიათ, შეუდგნენ მუშაობას შერეული ეროვნების ჯგუფებში, რა დროსაც თითოეული ჯგუფი მუშაობს წარმოსახვითი სახელმწიფოს ერთ კონკრეტულ ასპექტზე. პროექტის დასაწყისში მასწავლებლები და მოსწავლეები განიხილავენ და თანხმდებიან იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი ღირებულებები უნდა იყოს დამკვიდრებული მათ მიერ შექმნილ წარმოსახვით სახელმწიფოში. მოსწავლეებს შეუძლიათ, შექმნან საკუთარი კონსტიტუცია და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მეთაურების არჩევნებში. პროექტის ბოლოს, შესაძლებელია, გაიმართოს მსჯელობა, რომლის დროსაც განხილული იქნება, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩვენი რეალური საზოგადოებები დაემსგავსოს მოსწავლეების მიერ შექმნილ იმ იდეალურ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, რომელიც მოსწავლეებმა საკუთარი წარმოსახვით შექმნეს პროექტის ფარგლებში.

მონაწილეთა ასაკი: 6-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია, TwinBoard, Google Draw, Canva

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კლუბი“

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, მასწავლებლები სთავაზობენ მათ, დააარსონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კლუბი. მოსწავლეებს შეუძლიათ, კენჭისყრის საშუალებით აირჩიონ საკუთარი საერთაშორისო საბჭოს წევრები, დასახონ საკუთარი კლუბის ამოცანები, მოაწყონ კონკურსი კლუბის სიმბოლოს შერჩევის მიზნით, შექმნან საწევრო ბარათები და დაგეგმონ და გამართონ შეხვედრები ონლაინრეჟიმში. კლუბი შესაძლებელია იყოს მრავალფუნქციური და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, როგორიცაა: სკოლაში ექსპერტების მოწვევა ადამიანის უფლებებზე სასაუბროდ, სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა, სხვა კლასებისა და მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება ადამიანის უფლებების შესახებ და სხვ.

მონაწილეთა ასაკი: 10 -18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Canva, TwinSpace, Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია

“გაზიარება ნიშნავს ზრუნვას”

მოსწავლეები მსჯელობენ და ადგენენ იმ პრობლემების ნუსხას, რომლებიც მათი ადგილობრივი საზოგადოების წინაშე დგას, მაგალითად: უსახლკარობა, უხარისხო გზები, დაბინძურებული სანაპირო და ა.შ. ამის შემდეგ, მოსწავლეები, პარტნიორებთან ერთად, განიხილავენ ადგილობრივ პრობლემებს და ერთმანეთს ეხმარებიან ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაში. ისინი, ასევე, ცდილობენ, მოძებნონ დაგეგმილი ღონისძიებების გასაჯაროების საშუალებები, რათა ამ ღონისძიებების განხორციელებაში მეტმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა; საზოგადოების ინფორმირება შესაძლებელია პლაკატებით, სოციალურ მედიაში გზავნილების განთავსებით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. სკოლები იმუშავებენ სამოქმედო გეგმას და იწყებენ მის გახორციელებას. მოსწავლეები აწყობენ შეხვედრებს, ონლაინრეჟიმში, ყოველთვიურად, რა დროსაც ისინი ერთმანეთს ანგარიშს აბარებენ შესრულებული სამუშაოების შესახებ და ადგენენ მომავალში მოქმედების გეგმას.

მონაწილეთა ასაკი: 10-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Online Meetings-ის საშუალებით წარმოებული ვიდეოკონფერენცია, Spark, Canva

„იმიტირებული არჩევნები: ყველა ხმა მნიშვნელოვანია”

მასწავლებლები აწვდიან ინფორმაციას თავიანთ მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ აქტივობა მოიცავს მონაწილეობას დემოკრატიული მეთოდით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმიტირებული არჩევნები ეწყობა რეალური არჩევნების პროცედურების დაცვით და ემსახურება მოსწავლეების ინფორმირებას საარჩევნო პროცესის შესახებ. მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა იმსჯელონ მოსწავლეებთან არჩევნების მნიშვნელობის შესახებ და ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ ყველა ხმა მნიშვნელოვანია.

ყველა პარტნიორი სკოლის ყველა მოსწავლემ ხმა უნდა მისცეს კანდიდატს, რომლის გეგმასაც, სკოლის განვითარების შესახებ, საუკეთესოდ მიიჩნევს. თითოეული პარტნიორი სკოლა ასახელებს ორ წარმომადგენელს, რომელიც ამზადებს და აწარმოებს კამპანიას. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ხანგრძლივად მიმდინარეობს, მასწავლებლებს შეუძლიათ, შესთავაზონ მოსწავლეებს კანდიდატთა მხარდამჭერი გუნდების შექმნა, რომლის წევრებიც დაამზადებენ პლაკატებს, ფლაერებს და მოამზადებენ განაცხადს

პროგრამის შესახებ; მოსწავლეებს შეუძლიათ, ონლაინრეჟიმში მოაწყონ დებატები კანდიდატებს შორის, აწარმოონ კამპანია, რომლის ფარგლებშიც კანდიდატები საკუთარ გეგმებს წარადგენენ.

პარტნიორ სკოლებს შეუძლიათ, თავიანთ კლასებში მოაწყონ საარჩევნო უბნები. მათ, ასევე, შეუძლიათ, შექმნან პირადობის მოწმობები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციისათვის, ასევე, საარჩევნო ბიულეტენები, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მასალა და სხვა სასწავლო მასალები. მას შემდეგ, რაც ყველა სკოლაში დასრულდება არჩევნები, მოსწავლეები მონაწილეობენ, ონლაინრეჟიმში, მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, რომლის დროსაც გამოცხადებული იქნება არჩევნების შედეგები და გაიმართება მსჯელობა შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებზე.

მონაწილეთა ასაკი: 12-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Online Meetings-ის საშუალებით ორგანიზებული ვიდეოკონფერენცია, ფურცლები, საარჩევნო უბნები

„მაღალ დონეზე გამართული შეხვედრის ფარგლებში წარმოებული დისკუსია აქტუალურ საკითხებზე"

მოსწავლეები არჩევენ აქტუალურ თემას დებატებისთვის, მაგალითად, „ნახშირორჟანგისა და სხვა სათბურის გაზების ემისიის სწრაფი შემცირება, ენერგიის სუფთა წყაროებზე გადასვლის გზით". პარტნიორი სკოლები იკავებენ ერთმანეთისგან განსხვავებულ პოზიციას, ერთი მხარე არის მომხრე, ხოლო მეორე - წინააღმდეგი. ორივე მხარე სწავლობს თემას, მოსწავლეები გაითამაშებენ კანონშემოქმედების პროცესს და ემზადებიან საკუთარი პოზიციის დასაცავად. ონლაინრეჟიმში წარმოებული შეხვედრის ფარგლებში, მხარეები ერთმანეთს აცნობენ საკუთარ პოზიციას და ცდილობენ, ითანამშრომლონ, ოპტიმალურ ღონისძიებებზე თანხმობის მიღწევის მიზნით.

მონაწილეთა ასაკი: 14-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** ვიდეოკონფერენცია წარმოებული Online Meetings-ის საშუალებით

"პეტიციების ძალა"

მოსწავლეებთან ერთად ჯგუფური განხილვის შემდეგ, მასწავლებლები სთავაზობენ მათ, შეთანხმდნენ საკითხზე, რომლის მხარდაჭერაც მათ სურთ და რომელიც საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების ყურადღებას დაიმსახურებს. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს საკუთარ მოსწავლეებს ერთ საკითხზე და ამ საკითხის გადაჭრის შესაძლო საშუალებაზე შეთანხმებაში, რის შემდეგაც მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება პეტიციის ეფექტური ტექსტის შედგენაში, რა დროსაც ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს პეტიციის გარეგნულ მხარეზე, სათაურსა და მიზნის ჩამოყალიბებაზე. მას შემდეგ, რაც პეტიცია მზად იქნება, მოსწავლეები ესწრებიან ონლაინრეჟიმში ორგანიზებულ სპეციალურ ტრენინგს, რომლის დროსაც ისინი იღებენ რჩევებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიმართონ ხალხს, რათა მათ პეტიციას ხელი მოაწერონ, მაგალითად, მოსწავლეები მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ ახსნან, თუ რას ემსახურება პეტიცია, დაიცვან ქცევის წესები და შეინარჩუნონ პატივისცემა იმ პირების მიმართ, რომლებიც მათ მოსაზრებას არ იზიარებენ, ადამიანებს მიმართონ ღიმილით და ა.შ.

მოსწავლეებს შეუძლიათ, შექმნან პეტიციის ონლაინვერსიაც. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები საკმარისი რაოდენობის ხელმოწერას შეაგროვებენ, მათ ყურადღებით და საგულდაგულოდ უნდა შეარჩიონ პირი, რომელსაც მიაწვდიან პეტიციას, ამასთან, თითოეულ ქვეყანაში შერჩეული უნდა იყოს ერთი პირი და უნდა უზრუნველყონ შერჩეული პირისთვის პეტიციის პირადად მიწოდება.

მონაწილეთა ასაკი: 14-18 წლის მოსწავლეები | **საჭირო მასალა და ინსტრუმენტები:** Avaaz.org, Change.org

დასკვნა

სანტი შიმეკა
პროექტის მენეჯერი, „eTwinning"-ის ცენტრალური მხარდაჭერის სამსახური,

„eTwinning"-ის წლევანდელი თემა – დემოკრატიული მონაწილეობა – ძალიან დროული და აქტუალურია. რეალურად, დემოკრატიული პროცესები არასდროს ყოფილა შემოფარგლული მხოლოდ ფორმალური არჩევნებით, ასევე, დღითიდღე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ადამიანების მოსაზრებებისა და შეხედულებების, ეგრეთ წოდებული *საზოგადოებრივი აზრის* - ჩამოყალიბება, გაჟღერება და ზოგჯერ ბოროტად გამოყენებაც კი, ყოველ ჯერზე განსხვავებული და არაპროგნოზირებადი ფორმით ხდება. პოლიტიკური წარმომადგენლობა, განსაკუთრებით, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მკვეთრად შეიცვალა და ტრადიციული პარტიებიდან და ორგანიზაციებიდან გადავიდა ისეთ გაფანტულ მოძრაობებზე, რომლებიც ზოგჯერ სოციალური მედიის საშუალებით იმართება, რაც ჩვენს საზოგადოებას, ისევე, როგორც კონსენსუსის მიღწევას,*ადვილად სამართავს* ხდის – თუ დავესესხებით *ზიგმუნტ ბაუმანს*.

რა როლი ეკისრება ახალგაზრდა თაობას ამ ყველაფერში? როგორ შეუძლია განათლებას, ჩვენს სკოლებს, ჩვენს პედაგოგებს, ხელი შეუწყონ მოსწავლეების სათანადოდ აღჭურვას, რათა მათ შეეძლონ, გარკვეული როლი ითამაშონ თავიანთი საზოგადოების ფორმირებაში? შესწევს კი სკოლას უნარი, გაამართლოს მოსწავლეთა ლეგიტიმური მოლოდინები? საინტერესოა, რომ ცნობილმა ახალგაზრდა შვედმა ეკოაქტივისტმა გრეტა თუნბერგმა საკუთარი მოღვაწეობა „სკოლისათვის ბოიკოტის" გამოცხადებით დაიწყო, სვარაუდოდ, მას სჯეროდა, რომ იმისათვის, რომ მისთვის მოესმინათ, საჭირო იყო *სკოლის გაცდენა* და, სანაცვლოდ, ქვეყნის პარლამენტის წინ ხელში უზარმაზარი პლაკატით დგომა, რომელზეც ეწერა: „ბოიკოტი სკოლას კლიმატის დასაცავად" - "skolstrejk för klimatet". მას ათასობით მოსწავლე შეუერთდა, რომელმაც გადაწყვიტა, არ გამოცხადებულიყო სკოლაში და საკუთარი წვლილი შეეტანა საქმეში, რომელიც ამ პრობლემის პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებას ემსახურებოდა. მაგრამ მიუძღვის კი ამაში წვლილი განათლებას? გრეტას ჩართულობას ამ პროცესში ხომ არ უძღოდა წინ მასწავლებლებთან ერთად ამ თემაზე მსჯელობა, ან სკოლის ფარგლებში ამ თემასთან დაკავშირებულ პროექტში მონაწილეობა? ქმნის სკოლა სათანადო კონტექსტს იმისათვის, რომ გრეტასნაირი ათასობით მოსწავლე ქუჩაში გამოვიდეს და მოუწოდოს მთავრობებს ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მოქმედებისაკენ? ჩვენ ამ კითხვებზე პასუხები არ გვაქვს, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ სწორედ სკოლამ უბიძგა ამ ახალგაზრდებს *მოქმედებისკენ*. აღნიშნული განწყობა, რომელიც ადამიანებს *მოქმედებისკენ* უბიძგებს, წარმოადგენს *დემოკრატიულ მონაწილეობას*.

როგორც წინამდებარე პუბლიკაციიდან შევიტყვეთ, ევროკავშირი და წევრი სახელმწიფოების განათლების სისტემების ხელმძღვანელი პირები, ასევე, სხვა ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის საბჭო, ასობით სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი კონვენციებითა და ადგილობრივი თუ ეროვნული ინიციატივებით, მყარად **უჭერენ მხარს მოქალაქეობრივ განათლებას** . სკოლას მოწინავე პოზიცია უკავია იმის უზრუნველყოფაში, რომ ახალგაზრდა თაობამ 'მიიღოს ინფორმაცია დემოკრატიის შესახებ და იცხოვროს დემოკრატიული პრინციპებით'. აღნიშნული გულისხმობს ახალგაზრდების აღჭურვას ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც საფუძვლად უდევს მოქალაქეობრივ კომპეტენციას, რომელიც, ასევე, გულისხმობს დემოკრატიული ღირებულებებისა და ძირითადი უფლებების პატივისცემას. აღნიშნული, ასევე, გულისხმობს 'სწავლას მოქმედების საშუალებით'. სკოლაში ყველას საკუთარი ფუნქცია აქვს: სკოლის ხელმძღვანელებმა უნდა შექმნან პირობები, რომლებიც

უზრუნველყოფს ხელმძღვანელობაში სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას და სწავლა-სწავლებას, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სწავლების ტრადიციული მეთოდებითა და ტრადიციული სასწავლო საგნებით; მასწავლებლები უზრუნველყოფილი არიან პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით და მათ აქვთ საშუალება, ერთმანეთთან დააკავშირონ სასწავლო გეგმა და სოციალური ტენდენციები, მოსწავლეებმა უნდა იმოქმედონ და ისინი ცვლილებების შემოქმედებად უნდა იყვნენ აღიარებული. ამ პროცესის მხარდაჭერის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივ საზოგადოებასაც: სკოლა, მშობლები, ასოციაციები, მუნიციპალიტეტები - ყველა ერთი და იგივე ეკოსისტემის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უნდა განვითარდეს და გაიზარდოს და ამაში ყველამ უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი. ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს უფრო **ინკლუზიური, დემოკრატიული, ავთენტური** განათლების უზრუნველყოფაზე, რომელიც რეალობას ასახავს, ასახავს იმას, რაც ჭეშმარიტად მნიშვნელოვანია (ეკოლოგია, ტოლერანტობა, პატივისცემა, მულტიკულტურალიზმი და ა. შ.) და ემსახურება ახალგაზრდა მოქალაქეების აღზრდასა და მომავლისთვის მომზადებას.

წინამდებარე პუბლიკაცია არის მტკიცებულება იმისა, რომ არსებობენ სკოლები, მასწავლებლები და პროექტები, რომლებიც ახალგაზრდებისათვის ნიადაგის მომზადებას ემსახურებიან, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ მოაზროვნე და აქტიურ მოქალაქეებად, რომლებიც მზად იქნებიან, დატოვონ კომფორტის ზონა, რომელსაც მათ სკოლა უქმნის და შეაბიჯონ რეალურ ცხოვრებაში. **"eTwinning"-ი** ამ პროცესებში ჩართულ მასწავლებლებს აწვდის საჭირო ინსტრუმენტებს, უქმნის კონტექსტს და უზრუნველყოფს მათ მოტივირებასა და აღიარებას. ის, რაც წინამდებარე პუბლიკაციაშია შესული, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ უამრავი წარმატებული აქტივობისა და ღონისძიებისა, რომელიც ხელს უწყობს **ცალკეული პირების საზოგადოებად ჩამოყალიბებას**, უზრუნველყოფს ახალგაზრდებს ყველა წინაპირობით, რომ მათ შეძლონ, განაცხადონ: „მე მნიშვნელოვანი ვარ". ვინაიდან ცალკეული სკოლების, მასწავლებლებისა და პროექტების ძალისხმევა შეიძლება შეუმჩნეველიც კი დარჩეს, თუ მას სისტემური ზემოქმედების საშუალება არ ეძლევა. „eTwinning"-ის ფარგლებში გახორციელებულ ასობით პროექტს შეუძლია დემოკრატიულ მოძრაობას ჩაუყაროს საფუძველი, თუ ისინი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, ქმნის და ავრცელებს საუკეთესო პრაქტიკისა და წარმატების მაგალითებს. თუ ისინი ერთმანეთს ასაზრდოვებს, თუ მათი ცნობადობა იზრდება და სათანადო აღიარებას ჰპოვებს, ეს მათ დამკვიდრებას განაპირობებს.

წინამდებარე პუბლიკაცია მეოცნებეთათვის არის განკუთვნილი, და ასეთი ბევრია, ისინი ყველგან არიან, და ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ყოველდღიურად ცვლიან ჩვენს ყოფასა და მსოფლიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

Arnstein, S. R. (1969). A ladder of citizen participation. Journal of the American Institute of planners, 35(4), 216-224.

Assembly, U. G. (1989). Convention on the Rights of the Child. United Nations, Treaty Series, 1577(3).

Bacigalupo, M., Kampylis, P., Punie, Y., & Van den Brande, G. (2016). EntreComp: The entrepreneurship competence framework. Luxembourg: Publication Office of the European Union, 14.

Bäckman, E., & Trafford, B. (2007). Democratic Governance of Schools. Strasbourg: Council of Europe.

Beijaard, D., Meijer, P. C., Morine-Dershimer, G., & Tillema, H. (Eds.). (2005). Teacher Professional Development in Changing Conditions. Dordecht: Springer Netherlands.

Biesta, G., & Lawy, R. (2006). From teaching citizenship to learning democracy: overcoming individualism in research, policy and practice. Cambridge Journal of Education, 36(1), 63-79. doi: 10.1080/03057640500490981

Biesta, G. (2009). What Kind of Citizenship for European Higher Education? Beyond the Competent Active Citizen, 8(2), 146–158.

Biesta, G. (2011). Learning democracy in school and society: Education, lifelong learning, and the politics of citizenship. Rotterdam: Sense Publishers.

Chanoff, D. (1981). Democratic schooling: Means or end? Resolving the ambiguity. The High School Journal, 64(4), 170-175.

Council of Europe. (2014). Education for Change. Change for Education. Teacher Manifesto for the 21st century. Strasbourg: Council of Europe. http://www.coe.int/en/web/pestalozzi/-/conference-2014

Council of Europe (2017), Learning to live together, Report on State of Citizenship and Human Rights Education in Europe, Council of Europe Publishing, Strasbourg, p. 5 www.coe.int/en/web/edc/report-on-the-state-of-citizenship-and-human-rights-in-europe

Council of Europe. (2018). Reference Framework of Competences for Democratic Culture. Strasbourg: Council of Europe. https://rm.coe.int/prems-008318-gbr-2508-reference-framework-of-competences-vol-1-8573-co/16807bc66c

Council Recommendation of 22 May 2018 on promoting common values, inclusive education, and the European dimension of teaching (2018/C 195/01). Brussels

Council Recommendation of 22 May 2018 on key compétences for lifelong learning (2018/C 189/01). Brussels

Dewey, J. [1916(2008)]. Democracy and education. The project Gutenberg. www.gutenberg.org Acessed at 16.July.2019.

European Commission. (2017). EntreComp. Brussels: European Commission. jrc109128_entrecomp_into_action_-_final.pdf

European Commission. (2015). Elements of a Policy Framework, ET 2020 Working Groups, Brussels

European Commission. (2017). DigComp 2.0. Brussels: European Commission. DigComp 2.0

European Commission. (to be published). LifeComp. Brussels: European Commission

Eurydice (2017). Citizenship Education at School in Europe. Retrieved on 28 August 2019: https://eacea.ec.europa.eu/national-policies/eurydice/content/eurydice-brief-citizenship-education-school-europe-%E2%80%93-2017_en

Hadjar, Andreas & Beck, Michael (2010). Who does not participate in elections in Europe and why is this? European Societies, 12:4, 521-542.

Hart, R. A. (1992). Children's participation: From tokenism to citizenship (No. inness92/6).

Hedtke, R. (2013). Who Is Afraid of a Non-Conformist Youth? The Right to Dissent and to Not Participate. In R. Hedtke & T. Zimenkova (Eds.), Education for Civic and Political Participation: A Critical Approach (pp. 54-78). New York and London: Routledge.

Malafaia, C., Teixeira, P. M., Neves, T. & Menezes, I. (2016). Linking learning contexts: The relationship between students' civic and political experiences and their self-regulation in school. Frontiers in Psychology. doi: 10.3389/fpsyg.2016.00575

Menezes, I. & Ferreira, Pedro (2014). Cidadania participatória no cotidiano escolar: A vez e a voz das crianças e dos jovens. Educar em Revista, 53, 131-147.

Mockler, N. (2011). Beyond “what works”: Understanding teacher identity as a practical and political tool. Teachers and Teaching: Theory and Practice, 17(5), 517–528.

OECD-PISA. (2018). Global Competence Framework.
https://www.oecd.org/pisa/pisa-2018-global-competence.htm

Quintelier, E. (2010). The effect of schools on political participation: a multilevel logistic analysis. Research Papers in Education, 25:2, 137-154.

Ribeiro, N., Neves, T. & Menezes, I. (2017). An organization of the theoretical perspectives in the field of civic and political participation: Contributions to citizenship education. Journal of Political Science Education, 13:4, 426-446.

Spring, J. (2009). Globalization of Education: შესავალი. New York: Routledge.

Stockemer, D. (2014). What drives unconventional political participation? A two levelstudy. The Social Science Journal, 51, 2, 201–211.

UN–UNESCO. (2015). Sustainable Development Goals (data, activities, lesson plans) http://www.unesco.hu | http://www.un.org/sustainabledevelopment/

Van Driel, B., Darmody, M., Kerzil, J., ‘Education policies and practices to foster tolerance, respect for diversity and civic responsibility in children and young people in the EU’, NESET II report, Luxembourg: Publications Office of the European Union, 2016

Westheimer, J. & Kahne, J. (1998). As quoted in Education for action: preparing youth for participatory democracy. in Ayers, et al. (Eds). (1998). Teaching for Social Justice. New York: New Press.



eTwinning

www.eTwinning.net

EC-04-19-500-EN-C
ISBN: 978-92-9484-080-6

Erasmus+

Publications Office of the European Union